745/2 N14431

ეროვნული თავისუფლების იაზით - პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით - ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ - პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ჰარასკევობით № 15 (1761) 17-23 ნოემბერი 2000 წ. ფასი 50 თეთრი

## რამდენ სელელს ხედავთ საქართველოში?

მე-3 გვერდი

## რა გაასწორებს ამ ასაოცარ კვეს, ასე ვანრიდ რომ აგის ქართულ დემოკრატიას?...

მე-6 გვერდი

### თამაგ ნადარეიშვილი:

## მსოფლიოს აფხაგეთი უკვე აღარ აინტერესებს

მე-2 გვერდი

## „სკამდადება“ თავდადების რანგში



მე-4 გვერდი

მე-5 გვერდი

## ეროვნული ენის ბიუჯეტისათვის ჯერ-ჯერობით არ იყენებენ მას

# SOS! - კვალიფიციური ექსპერტი გაფრთხილებთ!...

საქართველოს კანონით „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, მომხმარებელს უფლება აქვს სრულ ინფორმაციაზე.

საქონლის გაყიდვის ან მომსახურების გაწევისას, გამყიდველი ვალდებულია მომხმარებელს მოთხოვნისამებრ მიაწოდოს ინფორმაცია რეალიზებად საქონელზე და მომსახურებაზე. ყალბი ინფორმაციის მიწოდებისათვის გამყიდველი პასუხს აგებს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. (ზემოთხსენებული კანონის მუხლი 4).

დამზადებული ვალდებულია მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია თავისი საწარმოა ადგილმდებარეობის და სრული დასახელების შესახებ აღნიშნული ინფორმაცია უნდა აისახოს საფირმო ნიშანში ან წარედგინოს მომხმარებელს სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი საშუალებებით.

პროდუქციის შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

სტანდარტის დასახელებას, რომლის მოთხოვნებსაც უნდა შეესაბამებოდეს პროდუქცია: საქონლის ძირითადი სამომხმარებლო (მათი დამზადების პროცესში გამოყენებული კვების სხვა პროდუქტების და დანამატების ნუსხის ჩათვლით), წონას, მოცულობას, კალორიულობას, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებათა შემცველობას და შესაძლო უკუჩვენებებს ცალკეული სახეობის დაავადებათა დროს გამოყენებისას, პროდუქციის ფასს და შეძენის პირობებს, დამამზადებლის საგარანტიო უფლებებს.

საქონლის ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენების წესებსა და პირობებს. (მუხლი 6).

საქონლის ვარგისიანობის ვადებს და ცნობებს ამ ვადების ამოწურვის შემთხვევაში მომხმარებლის აუცილებელ ქმედებებზე. აგრეთვე მითითებული ღონისძიებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებზე. სავალდებულო სერტიფიკაციის დაქვემდებარებულ პროდუქციასთან დაკავშირებით მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მათი სერტიფიცირების შესახებ.

იმ საქონელზე, რომელთა საომომხმარებლო თვისებები უარესდება დროთა განმავლობაში, როგორიც არის კვების პროდუქტები, პარფიუმერულ-კოსმეტიკური საქონელი, მედიკამენტები, საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმი და სხვა საქონელი, უნდა მიეთითოს ვარგისიანობის ვადა.

ასევე ინფორმაცია აისახება საქონელზე თანდართულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში, ეტიკეტზე მარკირებით, გამოშვების ვადის ჩვენებით ან ცალკეული სახეობის საქონლის და მომსახურების სფეროებისათვის მიღებული სხვა ხერხით.

მოქალაქე, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია მისი რეგისტრაციის, მარეგისტრირებელი ორგანოს და იმ სტანდარტის შესახებ, რომლის სავალდებულო მოთხოვნები ვრცელდება მის მიერ რეალიზებად პროდუქციაზე, აგრეთვე ცნობები მათ სერტიფიკაციაზე.

მე-7 მუხლში განხილული საკითხები პასუხისმგებლობას აკისრებს არასათანადო ინფორმაციისათვის ასეთ შემთხვევებში: როცა არასარწმუნო ან არასრულმა ინფორმაციის მოწოდება, (როგორც პროდუქციის, ასევე დამამზადებლის შესახებ) გამოიწვია: შეძენა იხეთი საქონლისა, რომელიც არ აკმაყოფილებს საომომხმარებლო მოთხოვნებს;

შეძენილი საქონლის დანიშნულებისამებრ გამოყენების შეუძლებლობა.

მომხმარებელი უფლებამოსილია მოითხოვოს უმოკლეს ვადაში სათანადო ინფორმაციის მიწოდება, თუ ასეთი ინფორმაცია დათქმულ ვადაში არ იქნა მიწოდებული, მომხმარებელს უფლება აქვს დაარღვიოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიღებული ზარალის ანაზღაურება მის მფლობელობაში არსებული ბუნების ობიექტებისადმი მიყენებული ზარალის ჩათვლით.

*E 133* ბრილიანტის ლურჯი FCF NeW. ხელოვნური ლურჯი ფერის საღებავი. 2% კონცენტრაციით მიცემისას (მდედრობითი სქესზე) წონაში დაკლება გამოიწვია. საეჭვო არ არის.

*E140* ქლოროფილი და ქლოროფილინი. ბუნებრივი მწვანე ფერის საღებავი. მიიღება ფოთლებისა და ბალახებისაგან. საეჭვო არ არის.

*E141* ქლოროფილი და ქლოროფილინის სპილენძის შემცველი ნაერთები. ბუნებრივი მწვანე ფერის მცენარეული საღებავები, ხელოვნურად გამდიდრებული სპილენძით (ფერის სტაბილურობისათვის). მისი მიღება სახიფათოა ადამიანებისათვის, რომელთაც მიდრეკილება აქვთ ე.წ. „სპილენძის დაგროვების“ დაავადებისაკენ საეჭვოა მათთვის.

*E 142 მწვანე S.* ხელოვნური მწვანე ფერის საღებავი. ნაკლებად არის გამოკვლეული, დღეისათვის არ არსებობს საბოლოო დასკვნა.

*E150თ* მარტივი შაქრის ფერი. შაქრის ფერი. მცენარეული ყავისფერი საღებავი, მიიღება შაქრის გახურებით მჟავებთან ერთად. აქვს მკვეთრი ფერი და ოდნავ ტკბილი გემო. საეჭვო არ არის.

*E150b* ტუტე სულფიტების შაქრის ფერი. შაქრის ფერი. ხელოვნური ყავისფერი საღებავი. მზადდება მცენარეულ ბაზაზე მიიღება შაქრის ტუტეებითა და სულფიტებით გარდაქმნის გზით. საეჭვო არ არის.

*E150c* ამონიაკი - შაქრის ფერი. ხელოვნური ყავისფერი საღებავი. მზადდება მცენარეულ ბაზაზე. მიიღება შაქრის ნაერთებისაგან ამონიაკის დახმარებით. დიდი დოზებით მიცემისას იწვევს კრუნჩხვებსა და ლიმფოციტების რაოდენობის შემცირებას. არ გირჩევთ მის მიღებას.

*E150d* ამონიუმის სულფიტი - შაქრისფერი, შაქრის ფერი. ხელოვნური ყავისფერი საღებავი. მზადდება მცენარეულ ბაზაზე. მიიღება შაქრის ნაერთებისაგან ამონიუმსულფიტის დახმარებით. შესაძლოა შეიცავდეს შხამიან ნაერთს, ვინაიდან დიდი დოზით მიცემისას იწვევდა კრუნჩხვებს და სისხლის სურათის ცვლილებებს. არ გირჩევთ მის მიღებას.

*E151* ბრილიანტის შავი BN, შავი PN. ხელოვნური შავი ფერის Azo - საღებავია. ალერგიულთათვის სარისკოა.

*E153* ხის ნახშირი. ბუნებრივი ხის ნახშირი. იყენებენ Morbier ყველის ზედაპირის დასამუშავებლად. საეჭვო არ გახლავთ.

*E154* ყავისფერი FK New. სხვადასხვა Azo - საღებავების ხელოვნური ნარევი. მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შებოლილი ქამაყის კონსერვში, რომელსაც ინგლისში და ნორ-

*გაგრძელება მე-4 გვ.*

# თამაგ ნადარეიშვილი:

## მსოფლიოს აფხაზეთი უკვე აღარ აინტერესებს

წლობით გრძელდება უსახრულოდ გაწელილი პოლიტიკური მეხვედრები და დიალოგები. მდგომარეობა კვლავაც უცვლელია. რას უნდა ველოდოთ, რამდენ ხანს გასტანს. ასე ვთქვათ, გაყინვის წერტილზე ყოფნა? ამ და მრავალ სხვა პრობლემაზე გვესაუბრა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი თამაზ ნადარეიშვილი.

- აფხაზეთის ტრაგედია წინასწარ დაგეგმილი სცენარით დაიდგა. ჩვენ გაგვაჩნია მნიშვნელოვანი დოკუმენტები, სადაც მოცემულია რაც ითქვა გარკვეული წლების წინ. შეგვიძლია შევადაროთ იმას, რაც დღეს ხდება. მაგალითად, ხერგეი კიროვი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბიუროს წევრი 1921 წელს ამბობს: „არ შეიძლება ვუცადოთ და ვიმედოვნოთ, რომ საქართველოში თავისთავად მოხდება აფეთქება. ამისათვისა არაა საჭირო გახსნილად დავუხსათ თავს საქართველოს. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, დავიწყოთ მოძრაობა აფხაზეთსა და აჭარაში. შეუქმნათ საქართველოს შიდა პრობლემები, რომლებიც წელში გაწყვეტენ მას“.

1922 წელი. რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში: „მთავარი მიმართულება საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესახებ ულტიმატუმად მიმაჩნია აფხაზეთის ჩამოშორება საქართველოდან. სახელმწიფოებრიობის შესახებ ულტიმატუმად მიმაჩნია აფხაზეთის ჩამოშორება საქართველოდან. რუსეთის საზღვრის გადაწევა საქართველოს ხიდრმეში, რაც ამავე დროს მოგვცემს საშუალებას დავეპატრონოთ ამ ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს“.

1922 წელი. იგივე რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში: „აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორების შემდეგ ყურადღება უნდა მივაქციოთ სამეგრელოს, რომელიც თავისი ინტერნაციონალურობით განსხვავდება ქართველებისაგან. სამეგრელოს ტერიტორია დიდია და სტრატეგიული თვალსაზრისით კარგი იქნება მისი დამორჩილება რუსეთისადმი. თუ სამეგრელოს, ასევე, როგორც აფხაზეთსა და აჭარას, მიეცემა ავტონომია. ეს საბოლოოდ საქართველოს დაშლის დასაწყისი იქნება“.

და ერთიც, მინდა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი წარმოგიდგინოთ: „ბევრი ახალი ამბავი დატრიალდა აფხაზეთში. აქ გამოაცხადეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, პირდაპირ აუტანელია ის ვაკხანალია, რაც აქ ხდება. ქართველობა ისეთ დევნას და შევიწროებას განიცდის, ისეთი ანტიქართული აგიტაცია წარმოებს, რომ მეფის რუსეთსა და ვოსტოგროვებს არ ეყოფოდათ სითავხედედ. ქართული და ქართველი ერთგვარ სალანძღავ ტერმინად გადაქცეულ. მიმდინარეობს ქართველთა მასიური, რიცხობრივი განადგურება დემოგრაფიული სურათის შეცვლის მიზნით“.

ახლა ამას რომ დავაწეროთ 1999 ან 2000 წელი, თქვენ იტყვით, რომ წერილი არის სოხუმიდან. ეს წერილი მართლაც სოხუმიდანაა, მაგრამ 1921 წელსაა დაწერილი, ე.ი. ახალი აბსოლიტურად არაფერი ხდება.

*- თქვენ მუდამ ძალისმიერი მეთოდის გამოყენებაზე საუბროობდით, ახლაც ამ პოზიციაზე ხართ? ხომ შეხაძლებელია, რომ ამით დიდი ტრაგედიის წინაშე აღმოვჩნდეთ?*

- როცა მე ვგულისხმობ ძალისმიერი გამოყენებას, რა თქმა უნდა, გათვლილი მაქვს რისი გამკეთებლებიცა ვართ. სიმართლე რომ გითხრათ, არც ისე ბევრის, ვიღაცა იძახის, ეკონომიკა არა გვაქვსო, სწორია... ვიღაცამ ჯარი არა გვყავსო, სწორია. ვიღაცამ ფული არა გვაქვსო, სწორია... ჩემი ძალისმიერი მეთოდის გამოყენება ცოტა სხვაგვარია, მე არ მჭირდება არც ფული, არც ეკონომიკა და არც ჯარი.

*- ბატონო თამაზ, საინტერესოა, რის მიღწევას აპირებთ უფულოდ, უეკონომიკოდ და უჯაროდ?*

- პირველ რიგში, უნდა მივცეთ შეფასება მოვლენებს, რომლებიც აფხაზეთში დატრიალდა. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იყო არა აფხაზურ-ქართული კონფლიქტი, არამედ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ გვებრძოდა რუსეთის არა რაღაც რეაქციული ძალები, არამედ რუსეთის სახელმწიფო. ამის მაგალითი ჩვენ ბევრი გვაქვს. მეორე, საქართველოს პარლამენტში უნდა მივიღოთ დადგენილება, რომ აფხაზეთში ქართველი მშვიდობიანი მოხალხლეობის წინააღმდეგ ჩატარდა გენოციდი. ამის მასალები არსებობს და 200 ტომი დევს პროკურატურაში. მესამე, ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან უნდა მოვითხოვოთ ამ მიმართულებით ძალიან მკაცრი პოლიტიკის გატარება.

გაეროს წესდებაში არის მეექვსე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტის დროს პრობლემის მშვიდობიანად დარეგულირებას. როცა ამოიწურება მეექვსე პუნქტი, ამას მოყვება მეშვიდე მუხლი, რომ ჯერ უნდა იყოს გამოყენებული პოლიტიკური ძალა, გაფრთხილებები, ხოლო შემდეგ ფიზიკური ძალა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გაეროს ცნოს აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და გენოციდი. აქედან გამომდინარე, გაერომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და გამოაცხადოს სერიოზული სანქციები და მსოფლიო ბლოკადა სეპარატისტული რეჟიმისადმი. მანვე უნდა აამოქმედოს მეშვიდე პუნქტი, რაც ნიშნავს ძალის გამოყენებით მშვიდობის დამყარებას.

*- რაც შეეხება რუსეთთან დამოკიდებულებას, რა პოლიტიკის გატარებაა შესაძლებელი?*

- აქაც არის გამოსავალი. მე მიმაჩნია, რომ რუსეთის მიმართ უნდა იყოს მკაცრი პოლიტიკა გატარებული. ჩვენ უნდა დავაყენოთ ისეთი ორგანიზაციების წინაშე, როგორიცაა ევროსაბჭო. გაერო და ეუთო, საკითხი, რომ მათი მხრიდან იყოს სერიოზული ზეწოლა რუსეთისადმი. რუსეთის პრეზიდენტი იძულებული გახდება შეცვალოს თავისი იმპერიალისტური პოლიტიკა საქართველოსადმი. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ შევარდნაძეს აქვს ავტორიტეტი მსოფლიოს წინაშე, ეს ავტორიტეტი რუსეთზე უნდა იყოს გამოყენებული.

რუსეთი თავისივე ტერიტორიაზე, ჩეჩნეთში ამყარებს წესრიგს. ჩეჩნები ჩადიან ევროსაბჭოში. ტეხენ იქ სკანდალს და რუსეთს ართმევენ უფლებას ევროსაბჭოში. ჩვენ რატომ არ ვაკეთებთ ამას? ავტეხოთ ასეთი სკანდალი ეუთოში, გაეროში, ევროსაბჭოში ჩეჩნებისაგან იმის განსხვავებით, რომ ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია სხვა სახელწიფოსი. ჩვენ არაფერს არ ვამბობთ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დონეზე ვწყნარდებით, პარტიზანებს ვხპობთ, ხელს ვაწერთ ხელშეკრულებას და სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვაძლევთ ყველას, ვინც ძალით აპირებს აფხაზეთის დაბრუნებას, სად გინახავთ, რომ ქვეყანა უბრძოდეს თავის პარტიზანებს. უკვე შვიდი წელიწადია, რაც აფხაზეთში „სიწყნარეა“ (თუ არ ჩავთვლით პარტიზანულ მოძრაობას). მსოფლიოს აფხაზეთი უკვე აღარ აინტერესებს. იქ, სადაც არ ისვრიან, სადაც არ არის დაპირისპირება, ომი, კონფლიქტები ითვლება ჩამცხრალად და ამოწურულად.

*- ბატონო თამაზ, რატომ არ იდგმება კონკრეტული ნაბიჯები ხელისუფლების მხრიდან და რით ხსნით ამ პასიურობას?*

- როდესაც მე ვამწვავებ აფხაზეთის საკითხს, პასუხობენ, რომ ჯერ-ჯერობით არ არის ამოწურული ყველა სამშვიდობო გეგმა. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილშიც ასეთი აზრია შექმნილი. თუკი გაგრაში ვერ წავლენ საბანაოდ, წავლენ ქობულეთში. - ამ დონეზეა ეს საკითხი. ირგვლივ ხომ არის სიწყნარე. მანქანები დადიან, ბარ-რესტორნები მუშაობენ. ხულ ვმღერით და ვცეკვავთ... არ ვცხოვრობთ იმ ცხოვრებით, რითაც უნდა იცხოვროს ქვეყანამ, რომელსაც ტერიტორია აქვს დაკარგული. არ შეიძლება, რომ მებრძოლი ადამიანი იყოს მეორეხარისხოვანი ან კიდევ ბანდიტი, ყაჩაღი და ნარკომანი. ასეთი იდეოლოგია ჩვენთვის დამღუპველია.

*- რაც შეეხება პარტიზანების ფაქტორს, როგორ შეფასებდით არსებული კონფლიქტში მათ როლს?*

- საერთოდ პარტიზანობა ისეთი რამეა, რაზედაც არ შეიძლება ლაპარაკი. გასაოცარია, პარტიზანები ინტერვიუებს იძლევიან, პარტიზანები გაიფიცნენ და ხელფასს ითხოვენ. ასეთი რამე არსად არ ხდება. პარტიზანული მოძრაობა მეცნიერებაა. იგივე ვიეტნამის, იგივე ბელორუსიის. მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინი მართავდა მას. პარტიზანული მოძრაობა ვერაფრით ვერ იარსებებს, თუკი მას არ ექნა კოორდინაცია ცენტრიდან. რაც საქართველოში არ არსებობს. არის მეორე მომენტიც. პარტიზანი უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც იმყოფება მტრის მიერ ოკუპირებულ ტეიტორიაზე. მას არც ხელფასს აძლევენ და არც სამსახურს, მაგრამ დაზმარება უნდა ხდებოდეს. აფხაზები კატეგორიულად აყენებენ ორ ძირითად საკითხს: „პარტიზანული მოძრაობის აღკვეთას და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და ნადარეიშვილის მოშორებას. დღეს-დღეობით, პარტიზანული მოძრაობის ჩაკვლა ძალიან ძნელია. ერთი შეცვლის მეორეს, მეორე მესამეს და ა.შ. ეს მიმართულება გაიზრდება. მოხარული ვარ იმით, რომ საზოგადოება იცნობს მხოლოდ სამიოდე პარტიზანულ მოძრაობას, რამდენიმე ათეულის არსებობაზე კი არცა აქვს წარმოდგენა.

*ესაუბრა ინდირა ქორთუა*

# «რუსეთი ავიწროებს თავის მეზობლებს»

*ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ჟურნალი „The Economist“ (ბრიტანეთი) მსოფლიოში გამორჩეულია არა მხოლოდ ფართო ინფორმირებულობითა და ანალიზის სიღრმით, არამედ ობიექტურობითაც. ქართველი მკითხველი მისი ფურცლებიდან შეიტყობს იმასაც, რა ხდება ჩვენი ქვეყნის და კავკასიის გარშემო, და იმასაც, როგორ ეკიდება და როგორ ხედავს მსოფლიო ჩვენს სასიცოცხლო პრობლემებს.*

*ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ წერილის მოკლე შინაარსს.*

შემთხვევითაა თუ, უფრო, წინასწარი განზრახვითაა, ფაქტია, რომ რუსეთის ყველა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა, რომელმაც დამოუკიდებლობის კურსი აირჩია, უფრო და უფრო მზარდ სირთულეებს განიცდის. თუ აქამდე რუსეთი ცდილობდა თავის ყოფილ სატრაპიებზე ბატონობა გაეგრძელებინა „ესენგეს“ საშუალებით, რომელიც ბევრს ლაქლაქებდა, მაგრამ ცოტას აღწევდა, ახლა რუსეთის პოლიტიკა უფრო გარკვეულია და უფრო მკვეთრი, ყოველ დამოუკიდებელ ქვეყანას რუსეთის მხრიდან ზეწოლის თავ-თავისებური სახეები ემუქრება.

ამ ზეწოლას სამი ძირითადი სახე აქვს: ზეწოლა ენერგეტიკაში, საგიზო პოლიტიკაში და იარაღის მიწოდებაში. რუსეთი დღესაც გაზს აწვდის თავისი ყოფილი იმპერიის დიდ ნაწილს. გაზის გადაკეტვის მუქარა ძლიერი იარაღია ენერგეტიკულად ღარიბი ქვეყნების წინააღმდეგ. როგორიცაა მოლდოვა, უკრაინა და საქართველო. მით უმეტეს – ზამთრის მოლოდინში. ამ ქვეყნებს ახლაც რუსეთის სათბობის მილიარდობით დოლარი ვალი აწევთ. რუსეთის პოლიტიკა ამ სფეროში ბევრად უფრო აგრესიულია, ვიდრე ბოლო წლებში იყო: იგი მოითხოვს, რომ ვალი გადაუხადონ ნავთობ და გაზსადენების, ნავთობსახდელების და სხვა ამგვარების აქციებით. გარდა ამისა, რუსეთი იმუქრება, რომ ახალ სადენებს ააშენებს და სატრანზიტო განაკვეთებს შეუმცირებს თავის მეზობლებს. ერთი ასეთი პროექტია გაზის გაყვანა ბელარუსსა და პოლონეთზე, უკარაინის გვერდის ავლით. მეორეა ნავთობპროდუქტების ექსპორტის ორგანიზება პეტერბურგის პორტიდან, ბალტიისპირეთის ქვეყნების პორტთა ნაცვლად.

ვიზების შემოღება დაარტყამს აზერბაიჯანსავით და საქართველოსავით გაღარიბებულ ქვეყნებს, რადგან მათი ემიგრანტები შედარებით მდიდარი რუსეთიდან ფულს უგზავნიან თავის ოჯახებს. რუსეთთან მჭიდროდ მიბმულ ქვეყნებს, როგორიცაა სომხეთი, საგიზო რეჟიმი არ შეეხება. პარლამენტის წევრ ბარამიძეს მიაჩნია, რომ რუსეთი ამ გზით საქართველოს „სჯის“ ბაზების გაყვანის სურვილისათვის. მისი 500 ათასი თანამემამულე რუსეთში მუშაობს და „ერთი ამერიკელისა არ იყოს, იქიდან გამოგზავნილი ფულის გარეშე საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკას წყალი წაიღებდა“.

რუსეთის არმია ძალიან ცდილობს, არ დაკარგოს ფეხის მოსაკიდებელი საქართველოში. მან დაიწყო ტექნიკის გაყვანა ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზიდან, რომელიც დედაქალაქის ახლოსაა, მაგრამ აცხადებს, რომ სამხედრო აეროდრომის დათმობა არ უნდა, როცა საქართველომ აკრძალა რუსეთის სამხედრო გაფრენები თავის საჰაერო სივრცეში, რუსეთის ერთ-ერთმა უმაღლესმა სარდალმა მაშინვე ბრალი დასდო საქართველოს, რომ საზღვარზე ასობით ჩეჩენ მებრძოლს ატარებს. ეს სახიფათო ბრალდებაა. საქართველო მას ყოველთვის უარყოფს.

სხვაგან რუსეთი თავისი ბაზების შენარჩუნებას იმით ლამობს, რომ მზადაა მათ სახელი გადაარქვას და „მშვიდობისმყოფელთა“ დამხმარე დაწესებულებები უწოდოს. მოლდოვაში მას აქვს დიდი სამხედრო ბაზა დნესტრისპირეთში, სადაც უპირატესად სლავი მოსახლეობაა. წინააღმდეგ მოლდოვას მთავრობის ნებისა, რუსეთი სთავაზობს მოლდოვისა და დნესტრისპირეთის „ერთობლივი“ სახელმწიფოს შექმნას რუსეთის „გარანტიით“. გარდა ამისა, იგი იმუქრება მოლდოვის რკინიგზის ბლოკირებას, თუ ვალები დროზე არ გადაუხადეს. კიდევ უფრო ცბიერ ხრიკს მიჰმართავს რუსეთი უზბეკისტანში, სადაც რაღაცა იდუმალი „ისლამური ამბოხების“ საშიშროება გაჩნდა. ამ ავტოკრატიული და დამოუკიდებლობისკენ მიმსწრაფი სახელმწიფოს პრეზიდენტმა ქარიმოვმა გაღიზიანებით თქვა, რუსეთი ხიფათს აზვიადებს და ჩვენს ქვეყანას ამინებს, რათა ბაზების მიცემაზე დაგვითანხმოსო. აქ და სხვა შუა აზიის რესპუბლიკებში შემფოთებას თესავს ავღანეთიდან საზღვარზე მომდგარი თალიბების ამბებიც.

უკრანაში მოუსვენრობაა იმის გამო, რომ აღმოსავლეთი რეგიონი რუსული ენის სტატუსის ამაღლებას ითხოვს, დასავლეთი კი, პირიქით, მის დაქვეითებას. რუსეთმა, ამასთანავე, ანტიდემპინგური ბაჟი დააწესა უკრაინაზე გამავალი სადენებისათვის, რაც უკრაინის ექსპორტის მთავარი საგანია.

რუსეთის ზეწოლა ე.წ. „ახლო საზღვარგარეთზე“ ახალი არაა. 1996 წელს „ცეცხლის ხაზის“ რამდენიმე რესპუბლიკამ – საქართველომ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა და მოლდოვამ – ამერიკელთა წახალისებით შექმნეს ურთიერთმხარდაჭერის ჯგუფი GUAM-ის (Georgia, Ukraine, Azerbaijan, Maldova) სახელით.

1999 წელს მათ შეუერთდა უზბეკეთიც. ამ გაერთიანებას არ გააჩნია რამე ფორმალური სტრუქტურა ერთობლივი უებსაიტის გარდა და მისი შეხვედრები რეგულარული არაა. მისი მთავარი მიღწევაა მის წევრთა კოორდინირებული პოზიცია შეიარაღებათა კონტროლის მოლაპარაკებაზე, კერძოდ, რუსეთისთვის ჯარისკაცთა დასაშვები მაქსიმუმის თაობაზე. [illegible] ნიუ-იორკში ამ ჯგუფის წევრმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ მათი ერთიანობა შემჭიდროვდება და გაფართოვდება. მათ დაადგინეს, რომ უმაღლესი დონის შეხვედრები ექნებათ ორჯერ წელიწადში, გააძლიერებენ ძალისხმევას აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული სადენების ასაგებად (რასაც საკვანძო მნიშვნელობა აქვს რუსეთის გავლენის მოცილებისათვის) და შექმნიან თავისუფალი ვაჭრობის ზონას, რამაც, ფრიად თვალში საცემად, ხელი მოუცარა „ესენგეს“, აშშ-მ ამ ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა 45,5 მილიონი დოლარი სამხედრო დახმარება მისცეს „გუუამის“ სახელმწიფოებს.

ახალი წევრების პოვნა მათ გაუჭირდებათ. შევარდნაძე ამბობს, რუმინეთს უნდა ჩვენთან შემოსვლაო, თუმცა რუმინეთის ვაშინგტონელი ელჩი ამბობს, ეს „გაზვიადებააო“. ბეჟუნისკი ურჩევს ამ გაერთიანებას, თურქეთი, რუმინეთი და პოლონეთი შეიყვანონ „დამკვირვებლებად“. თუ გავითვალისწინებთ, რომ „გუუამის“ სახელმწიფოები ხუსტია, ღარიბია, ცუდად მართულია და დღეს უკვე მრავალ სხვა სიძნელესაც აწყდება, საეჭვოა, მათთან გაწევრიანება სხვა ვისმე ძლიერ ეწადოს. იმის წყალობით, რომ ნავთობის ფასები მაღალია და რომ პუტინი „ფოლადისებრი“ პრეზიდენტია, რუსეთი დღეს უფრო ძლიერად გამოიყურება, ხოლო მისი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები უფრო სუსტად, ვიდრე ოდესმე, სხრკ-ს დაშლის შემდეგ.

# რამდენ სულელს ხედავთ საქართველოში?

**ღია წერილი „ინფორმატიზაციის აკადემიის წევრს, ბატონ ვახტანგ ჭკუასელს და მის ინტერვიუერს ძალბატონ რუსუდან ნიკურაძეს (გაზ. „ლიტერატული საქართველო“ 7.11.2000 წ. პუბლიკაციის გამო).**

საბჭოთა წლებში კომუნისტურ-კომკავშირული ინტერნაციონალისტური, შავრაზმული მიმართულების კალმოსნები სხრკ-ს ხალხთა „მეგობრობას“ უგალობდნენ. დღეს ეს ტერმინოლოგია, რომელიც მხოლოდ ბავშვის ტიტინს თუ შეეფერება, შეცვალა ხერიოზული ადამიანებისათვის უფრო საკადრისმა გამოთქმებმა, როგორიცაა „ინტერესთა ერთობა (ან თანხვედრა)“, „ერთობლივი სტრატეგიული ამოცანები“, „პოლიტიკური პრაგმატიზმი ყოფილ მოწინააღმდეგესთან ურთიერთობაში“ და სხვა ამგვარებმა, ბატონი ჭკუასელი რომ კვლავ იმ ძველი ლექსიკონის ტყვეობაშია, – რომ, მისი აზრით, პუტინი გაკვირვებულია „რა დაგემართათ ქართველებს, ყველაზე საყვარელი ერი იყავით რუსეთისათვის, რამ გადაგრიათო?“, რომ, მისი წარმოდგენით, რუსეთი წამსვე შეიარაღებულ რეაქციას მოიცემს, როგორც კი ამერკავკასიაში „ნატოს“ თუნდაც ერთი ნეკი თითი გატოკდება, და რომ რუსეთი „შეურაცხყოფილია“ საქართველოდან მისი ჯარის გაყვანის პერსპექტივით – ეს ბატონ ჭკუასელის პრობლემაა და იმ აკადემიისა, რომელსაც იგი წევრად ჰყავს. ასევე, მხოლოდ ქალბატონ რუსუდან ნიკურიძისა და მისი შემკვეთი გაზეთის პრობლემაა, როგორ ხდება, რომ ქართველი – და არა ნაქართველარი – ჟურნალისტი, ამასთან, საქართველოს მოქალაქე და მაცხოვრებელი ლაპარაკობს „რუსეთ-საქართველოზე ამ ორ ისტორიულად მეგობარ ქვეყანაზე“ ისე, თითქოს არ მომხდარა არც საქართველოს დაპყრობა 1921 წელს, არც ქართველი ხალხის მრავალჯერადი გენოციდი რუსული იარაღით, არც 1956 წლის 9 მარტის ხვრეტა, არც ქართულ-რუსული ომი აფხაზეთში და არც 9000 ადამიანის ქიმიური მოწამლვა 1985 წლის 9 აპრილს. ჩვენთვის საინტერესოა არა ეს ნაფტალინიდან ამოღებული ბოლშევიკური ფრაზეოლოგია და იდეოლოგია, რომელსაც ინტერვიუერი გვთავაზობს, არამედ ის გამლილი საპროპაგანდო კამპანია მთლიანად, რასაც დღეს რუსეთის ჭკვიანი თუ უჭკუო აგენტურა ეწევა საქართველოში, რათა ქართველი ერის ჩამორჩენილი ნაწილის გული კიდევ ერთხელ მიიზიდოს და ყოფილი „უფროსი ძმის“ საერთგულოდ აღძრას. ჭკვიანებში ვგულისხმობ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, რომელმაც ფრთხილად „შეგვახსენა“ (გაზ. „საქართველო“), რომ რუსეთი ჩვენი ერეთადერთი მტერი არაა (თუმცა ის კი მიჩქმალა, რომ არაერთადერთი მტერიც, მიუხედავად ამ არაერთადერთობისა, მაინც მტერია) და რომელსაც ახლა რამდენადაც ვიცი, რუსეთის უშიშროების სამსახურში დიდი თანამდებობა უჭირავს ამერკავკასიის პრობლემათა „კურატორობის“ მიმართულებით. უჭკუონი უფრო ბევრნი არიან-თუნდაც გ...ძე, გ...ძე (უფროს-უმცროსობით მივყვები), კიდევ გ...ძე და აუარებელნი სხვანი, რომელთაც გვარები კარგად ცნობილია და ჩამოთვლად არ ღირან. მათი პირითა და ხელით დღეს პროპაგანდირება ხდება რუსული იმპერიული იდეოლოგიის ძირითადი თეზისისა (სხვა ნაკლებ მნიშვნელოვანი თეზისების გარდა) – რომ რუსეთი ისტორიულად საქართველოს „მეგობარია“ და დღესაც. კვლავინდებურად, ამერკავკასიის ბედის განმაზღვრელია, რომ დასავლეთი საქართველოს გაძარცვას უქადის. რუსეთი კი – აყვავებას და ასე შემდეგ. საიდანაც კეთდება დასკვნა: საქართველოს ამიტომ სხვა ისტორიული გზა არა აქვს რა რუსეთის ფეხქვეშ გაგების გარდა, რის გამოც რუსეთის ზეწოლისათვის წინააღმდეგობის გაწევა ჩვენი ქვეყნისთვის მომაკვდინებელი პოლიტიკაა, მისი ნების უსიტყვო შესრულების პოლიტიკა კი – ერთადერთი სწორი. ნაკლებ განათლებულ პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებ ჩახედულ და ჭაობის ჩვეულ უძრაობის დარღვევის ნაკლებ მსურველ ადამიანთა ცნობიერებაში ეს პროპაგანდა, ბუნებრივია, სასურველ რეზონანსს პოულობს, ამიტომ ზედმეტი არაა რუსული პროპაგანდის ეს ფუძეთემით კიდევ ერთხელ ვამხილოთ ტყუილში და მკითხველს რამდენიმე ელემენტარული ცნობა მივაწოდოთ საქმის ნამდვილი ვითარების გამო.

სათქმელს, საკითხის სინათლისათვის, რამდენსამე პუნქტად დავყოფ.

პირველი – არ არის მართალი, რომ რუსეთის დღევანდელი მწვავედ აგრესიული დამოკიდებულება საქართველოსადმი მხოლოდ ინერციაა იმ იმპერიული სულისკვეთებისა, რომელსაც რუსეთი ისტორიულად შეჩვეულია რამდენიმე საუკუნის მანძილზე. რუსეთს აქვს ობიექტური (ანუ რეალურ მდგომარეობაზე დამყარებული) საფუძველი, რომ ამიერკავკასიაში ამა თუ იმ ფორმით დაბრუნება უნდოდეს და მას გეგმავდეს. რუსეთი დღესაც გლობალური ძალაა (თავისი ტერიტორიის, მინერალური რესურსების და ბირთვული არსენალის წყალობით) და ამიტომ მას აინტერესებს დედამიწის ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი არეალი. ერთადერთი ასეთი არეალი, სადაც მას პოზიციის მოპოვებისა და შენარჩუნების იმედი ჯერ კიდევ აქვს, არის ახლო აღმოსავლეთი და მისკენ გასვლის ერთადერთი გზა – ამიერკავკასია. ახლო აღმოსავლეთზე დარტყმის გეგმა რუსეთს აღარა აქვს (დღეს). მაგრამ გეგმა, რომ ეს რეგიონი „შახის ქვეშ“ ჰყავდეს, მას დღესაც აქვს და ეს მისი სასიცოცხლო ინტერესია.

მეორე – რუსეთის სამხედრო დგომა ამიერკავკასიაში საქართველოსთვის სახიცოცხლოდ სახიფათოა ორმაგად. ჯერ ერთი, საქართველოდან მესამე ქვეყნისკენ დამიზნებული რაკეტა იმის გარანტიაა, რომ იმ ქვეყნიდანაც საქართველოზე დამიზნებული იქნება რაკეტა. მეორეც, საქართველო პასუხისმგებელია რუსეთის მიერ მისი ტერიტორიიდან განხორციელებულ ყველა დარტყმაზე, რის გამოც, რუსეთის დამარცხების შემთხვევაში (რუსეთის მიერ დიდი ომის მოგება კი, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნის მანძილზე ვეღარ მოხდება) საქართველოს ელის მძიმე სასჯელი, როგორც აგრესორს თვით მისი დაპყრობის ჩათვლით.

მესამე, რუსეთის გავლენა სხრკ-ს ყოფილ სივრცის რომელსამე ადგილას, საქართველოს ჩათვლით, თვისობრივად განსხვავებულია ზეგანვითარებული ქვეყნების, მათ შორის აშშ-ის გავლენისაგან. რუსეთი ამ ქვეყნებთან შედარებით არაკონკურენტუნარიანია (ეკონომიკურად, კულტურულად ამ სიტყვის ფართო აზრით, ინფორმაციულად...), ამიტომ იგი იძულებულია, უნდა თუ არა ეს, თავისი გავლენის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად იმას ცდილობდეს, რომ არა მხოლოდ დაიპყროს ეს ქვეყანა, არამედ მასში ყველა ქმედუნარიანი ადგილობრივი ძალები გაანადგუროს. მას, მხატვრულად რომ ვთქვათ, ურთიერთობა მხოლოდ მიწაზე გართხმულთან შეუძლია და არა ფეხზე მდგომთან. თუ დასავლეთის გავლენას ამა თუ იმ ქვეყანაში ე.წ. ასიმეტრიული კომპრომისის, ანუ არათანასწორი, მაგრამ ორმხრივად მიღებული შეთანხმების ფორმა აქვს (ეს მისთვის საკმარისია), რუსეთის გავლენა გარდუვალად ვითარდება

*გაგრძელება მე-7 გვ.*

მე-2 გვერდიდან

# SOS - კვალიფიციური ექსპერტი გაფრთხილებთ!..

ვეგიანში ამზადებენ. ალერგიულთათვის სარისკოა.

*E155* ყავისფერი HT New ხელოვნური ყავისფერი Azo - საღებავი. ალერგიულთათვის სარისკოა.

*E 160a* კაროტინი. შერეული კაროტინი, ბეტა-კაროტინი. ხელოვნური ნარინჯისფერი საღებავი. შეიცავს მრავალი მცენარეორგანიზმში გარდაიქმნება A ვიტამინად. დიდი რაოდენობით მიღებისას აყვითლებს კანს. საეჭვო არ არის.

*E160b* ანნატო, ბიქსინი, ნორბიქსინი. კაროტინოიდი. ბუნებრივი მცენარეული ნარინჯისფერი საღებავი. ამზადებენ ორლეანის ან ანნატოს თესლისაგან. დღეისათვის არ არსებობს საბოლოო დასკვნა.

*E160C* წითელი წიწაკის ექსტრაქტი, კაპსანთინი, კაპსორუბინი, კარტინოიდი. ბუნებრივი მცენარეული მონარინჯისფრო-წითელი საღებავი. ღებულობენ წიწაკისაგან. საეჭვო არ არის.

*E160d* ლიკოპინი, კაროტინოიდი. ბუნებრივი მცენარეული წითელი საღებავი. ღებულობენ პომიდორისაგან. მისი მიღება ხელოვნურადაც შეიძლება

საეჭვო არ არის.

*E160e* ბეტა-აპო 8' - კაროტინალი (C30), კაროტინოიდი. ხელოვნური საღებავია. ბუნებაშიც არსებობს ოდნავ შეცვლილი სახით. ნაკლებად არის გამოკვლეული. დღეისათვის არ არსებობს საბოლოო დასკვნა.

*E160f* ბეტა-აპო-8'- კაროტინმჟავა (C 30), ეთილეთერი, კაროტინოიდი. ხელოვნური საღებავი, ბუნებაში არსებობ ოდნავ შეცვლილი სახით. ნაკლებად არის გამოკვლეული. დღეისათვის არ არსებობს საბოლოო დასკვნა.

*E161b* ბუნებრივი საღებავი. ნაკლებად არის გამოკვლეული. დღეისათვის არ არსებობს საბოლოო დასკვნა.

*E161g* კანთაქსანთინი. ქსანთოფილი. ხელოვნურად მიღებული მოყვითალო-მონარინჯისფრო. მოწითალო საღებავი. გვხვდება ბუნებამიც. მისი გამოყენება დამვებულია მხოლოდ მტრასბურგულ ძეხვში. მისი აბები გამოიყენებოდა კანის გასაყავისფერებლად. მაგრამ იწვევდა მარილების დაგროვებს. ამიყტომაც აკრძალეს. არ გირჩევთ მიღებას.

*E162* ბეტანინი, ჭარხლისფერი წითელი. ბუნებრივი მცენარეული წითელი საღებავი. მიიღება ჭარხლისაგან. საეჭვო არ არის.

*E163* ანთოციანი. ბუნებრივი მცენარეული მოვარდისფრო-მუქლურჯი საღებავი. მიიღება სხვადასხვაგვარი ხილისა და ბოსტნეულისაგან. საეჭვო არ არის.

### საგაზეთო ფაღარზია

*ვიწყებთ საღეჭი რეზინებით. ერთი შეხედვით თითქოსდა „უწყინარი" პროდუქციაა. ბავშვებისათვის განსაკუთრებით საყვარელი გასართობი. ახლა კი შევაფასოთ. ამ პროდუქციის სარგებლიანობა ადამიანის ჯანმრთელობის თვალსაზრისით.*

Big-Babol (*E422; E122*) *E122* აცორუმინი, კარნოიზინი. იწვევს ალერგიას.

FIND (BHA 320) ბუთილჰიდროქსიანიზოლი. ხელოვნურად მიღებული ანტიქსიდაციური საშუალება. იწვევს გონების დაბინდვას. ცდებით დადგინდა, რომ იწვევს სიმსივნეს კუჭისთავთან, ასევე ალერგიებსაც.

*Orbit- E320; E967; E420; E421; E171; E320* (ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. მისი მავნებელი თვისება. თითქმის ყველა საღეჭში არის ეს შემავსებელი და ამიტომ ქვემოთ აღარ გავშიფრავთ).

*E967* (ქსილიტი) ხელოვნური ტკბილი ნაერთია. შეუძლია 20 გრ-ზე მეტი მიღებისას გამოიწვიოს მუცლის შებერვა და ფაღარათი.

*E420* (ორბიტი) ჩატარებული ცდების შედეგად დადგინდა, რომ იწვევს შარდის ბუშტში კენჭების გაჩენას და თირკმლის სიმსივნეს.

*BOUBLEMINT E422; E421; E951; E950; E322; E320.*

*AirWAVES E953; E420; E951; E903; E320; E302; E133.*

*E951* (ასპარტამი) ნაწილობრივ გენური ინჟინერიითაც მიიღება. შეიცავს ბევრ მინარევს. ამიტომ მისმა დიდი კონცენტრაციით მიღებამ შეიძლება ჯანმრთელობისათვის არასასურველი შედეგები გამოიწვიოს. იგი გამოჭყოფს ფენილალანინს ფენილკეტონურიით დაავადებულთათვის სარისკოა.

*E(903)* კარნაუბას სანთელი. მიიღება ერთ-ერთი ბრაზილიური პალმისაგან. კუჭი ვერ ინელებს.

*JUIC Y FRUIT -*

*E420, E422, E421, E951, E950, E320, E420* (სურბიტი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აჩენს სიმსივნეს).

*E421* (მანნიტი) ხელოვნური შაქრის შემცველი ნივთიერება. განკუთვნილია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის. იწვევს ფაღარათს და მუცლის შებერვას.

ჯანმრთელობისათვის საშიშია ბავშვთა ორბიტები, ასევე ჩვეულებრივი ორბიტები.

მწვანე ორბიტი *E420, E422, E421, E950, E320, E951, E322.*

წითელი ორბიტი *E420, E967, E421, E950, E951, E320, E120.*

*STIMOROL - E132, E903.*

*DIROL - E322, E296, E171, E903, E691.* ხაზგასმული E ნიშნები განსაკუთრებით საშიშია, ვინაიდან იწვევს სიმსივნურ წარმონაქმნებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პროდუქციას უკეთდება უზარმაზარი რეკლამები; მაგალითად, სიგარეტებს, როცა უკეთდება რეკლამა, იქვე აღნიშნულია რომ მავნებელია ჯანმრთელობისათვის. ასეც უნდა იყოს. მაგრამ დანარჩენი პროდუქცია? ასევე, თუ სახელმწიფო ენა ქართულია, მაშინ შეფუთვაზე რატომ არ არის წარწერა ქართულად? მომხმარებელი ათვალიერებს წარწერებს ინგლისურად და სხვა ენებზე. ვალდებულია კი იგი თავის საკუთარ ქვეყანაში აუცილებლად ისწავლოს უცხო ენა, იმისათვის რომ რას ყიდულობს იცოდეს?! ეს საკითხი აუცილებლად მოსაგვარებელია. ეს კი აშკარად ზემოთ აღნიშნული კანონის და კონსტიტუციის დარღვევაა.

*ქეთი ჩადუნელი*

# „სკამდადება" - თავდადების რანგში?

XXI-ე ს.-ის კარიბჭესთან. კოსმოსის ეპოქაში. პოსტსაბჭოური ქვეყნები და განსაკუთრებით საქართველო. მ. გორბაჩოვის და ე. შევარდნაძის „დროის მანქანის" წყალობით, წინსვლის ნაცვლად. თვალის დახამხამებაში წარსულ დროში იქნენ დაბრუნებული: უნიჭოდ და უგეგმოდ განხორციელებული ე.წ. „გარდაქმნის" (თუ გადაშენების) წყალობით ჩვენ ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიხდა. სწორედ მათი დამსახურებაა სახელმწიფო ქონების (იგულისხმება მატერიალური ფასეულობები და არა პოლიტიკური წყობა - ის თითქმის იგივე დარჩა) საძირკვლამდე დანგრევა და ქვეყანაში ველური კაპიტალიზმის შემოყვანა; უყურებ XVIII-XIV სს-ის ამერიკული კოვბოური ცხოვრების ამსახველ ფილმებს და უამრავ მსგავსებას პოულობ ჩვენ დღევანდელობასთან. იმ განსხვავებით. რომ მაშინ ცხენებისა და კოვბოების ფონზე ვითარდებოდა მოვლენები. დღეს კი - ჯიპებისა და მობილურების ფონზე, არადა წინ გვაქვს უზარმაზარი ქვეყნის - ჩინეთის მაგალითი: ჭკვიანური მართვის შემთხვევაში, თურმე შესაძლებელია. ზედმეტი ნგრევისა და მხხვერპლის გარეშე, სოციალისტური ქვეყნის თითქმის კაპიტალისტურ რელსებზე გადაყვანა. მაგრამ ამას საღი გონება, სახელმწიფოებრივი აზროვნება და ტალანტი სჭირდებოდა, რაც ჩვენდა საუბედუროდ მ. გორბაჩოვის ხროვაში არავის აღმოაჩნდა. მათ შორის - არც ე. შევარდნაძეს.

ხოლო სკამის შენარჩუნების მისი შეუდარებელი ტალანტი ხულაც არ ნიშნავს მის სახელმწიფოებრივ აზროვნებას. უფრო პირიქითაა - ეს სწორედ მისი ანტისახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ქცევის ნაყოფია და აქედან მოდის ყველა უბედურება, რაც გამოვიარეთ მისი მმართველობის პერიოდში და განსაკუთრებით - ბოლო 10 წლის განმავლობაში.

ის ფაქტი, რომ გორბაჩოვის გუნდმა ვერ შეძლო გარდაქმნის ცივილიზებული წესით განხორციელება, თავისთავად მეტყველებს, რომ სხრკ-ს მართვის სადავეებთან იმ დროისათვის აღმოჩნდნენ არაკომპეტენტური ადამიანები ინტრიგებით, ძალადობითა და კრთამებით მოხული ავანტიურისტები, რომლებსაც თავისივე უნიათობით შექმნილმა პრობლემებმა თავ-გზა დაუბნიეს და მათაც სიტუაციიდან ყველაზე მარტივი გამოსავალი ნახეს: თვითდინებაზე მოიშვეს ყველაფერი და საგვარეულო კლანებთან ერთად თავად პირველები გადაეშვნენ სახელმწიფოს ნანაგრევებზე. ძარცვა-გლეჯვის. ქონების დაგროვების ორომტრიალში. ამასთან საერთოდ დაივიწყეს მილიონობით ადამიანთა ბედი.

ისტორიიდან ვიცით ქვეყნის ლიდერისგან ხალხისათვის თავგანწირვის დიდებული მაგალითი: მონღოლთა ყაენის ორგულობაში ეჭვმიტანილი ქართველთა მეფე დემეტრე II თავდადებული ყაენს მოთხოვნიხთანავე ეახლა, რამეთუ კარგად უწყოდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მონღოლები მის ხალხზე ანუ ქართველებზე იძიებდა შურს.

დღეს საქართველოში მონღოლის ნაცვლად მისი ახლო ნათესავი - რუსი მძლავრობს. რომელთანაც დღევანდელ ჩვენ ხელისუფალს არცთუ თბილი ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. მიუხედავად უამრავი გაუგონარი დათმობებისა ქართული სახელმწიფოს ხარჯზე (გააჩუქეს აფხაზეთი, სამაჩაბლო, საკუთარი პირადი დაცვის ზურგსაა ამოფარებული. რუსებიც შურისძიების მახვილს საზღვრებმორღვეული, მმიერი და ჩაუცმელ-დაუხურავი, უფულო ჯარის პატრონი საქართველოსკენ წარმართავენ, რომელიც ახე მიგდებული და დაუცველი იშვიათად ყოფილა.

რუსთა შურისძიებისაგან ქვეყნის გადასარჩენად შევარდნაძეს ხულაც არ მოეთხოვებოდა დემეტრე II-ის მსგავსად თავგანწირვა. მას მხოლოდ „სკამგანწირვა" მოეთხოვებოდა და არც ახლაა დაგვიანებული. საჭიროა ახლა მაინც მოთოკოს ძალაუფლებისადმი დაუოკებელი ლტოლვა. უარი თქვას სკამზე, რომელსაც ვერ ელევა და გაერიდოს მოვლენებს სადმე-მესამე ქვეყანაში ისე, რომ საერთოდ აღარ ჩაერიოს სამხედრო ფლოტები, ბაზები, გემები...) ყოფილი „უფროსი ძმები" მაინც უკმაყოფილონი არიან, განსაკუთრებით იმით, რომ ე. შევარდნაძეს სხრკ-ის ნგრევაში ერთ-ერთ მთავარ ფიგურად მოიაზრებენ. რის გამო მათ კარგი სამსახურები და შემოსავლები დაკარგეს, თუმც გარკვეულ გავლენას დღესაც ინარჩუნებენ. ბატონი შევარდნაძე კი, ამ გავლენან რუსების გასაღიზიანებლად, შემთხვევას არ უშვებს ჩვენთან თუ უცხოეთში მოგზაურობისას, რომ კიდევ ერთჯერ არ დაიქადნოს: ეს მე დავანგრიე სხრკ-ო(?!). უსაზღვროა რუსთა გაბოროტება ე. შევარდნაძის და ცხადია მისი საპრეზიდენტო ქვეყნის - საქართველოს მიმართ. ეს გაბოროტება შეფარულია, მგარამ იგი ღიად კრასნოდარის მხარის გუბერნატორის ერთ-ერთმა მოადგილემ გამოხატა: "Пока у вас есть Шеварднадзе, вам _ Грузинам, не будеть спокоиной жизны, мы не дадим вам спокоино жить!"...

ისინი ამ მუქარას ასრულებენ. სწორედ შურისძიების მიზნით წაგვართვეს ახე თავზედურად აფხაზეთი, სამაჩაბლო (ბოლო მონაცემებით აფხაზეთი კრასნოდარს „შეუერთეს" და გალის მოსახლეობას ურიგებენ პასპორტებს ახალი ჩანაწერით: Краснодарский край, Г. Гали (?!). მათივე დამსახურებით უკიდურესადაა გართულებული მდგომარეობა აჭარასთან. სამცხე-ჯავახეთთან, პანკისის ხეობაში... „შევარდნაძემ კი ყველაფერი დიდხულოვნად" დათმო ოღონდ სკამი არ დაეკარგა, და ჭირვეული ბავშვივით წამდაუწუმ იმეორებს: ეს მე დავანგირიე სხრკ-ო. გავიგეთ! ამით დასავლეთის წინაშე ქულებს იწერს. მაგრამ რუსეთის წინაშეც იწერს ქულებს - ოღონდ უარყოფითს. და რადგან თვითონ მისგან კატასტროფამდე მიყვანილ ქართულ საქმეებში. ქართველთა უმარავლესობა დარწმუნებულია. რომ მდგომარეობა არ გაუარესდება. რადგან უარესი რამ წარმოუდგენელია!

ახე, რომ თავგანწირვას არავინ სთხოვს ბ-ნ შევარდნაძეს. მაგრამ თავისი შვილებისა და შვილიშვილების მომავლის გულისთვის. რომელთაც იმედია აქ მოუწევთ ცხოვრება, იქნებ ახლა მაინც შეისმინოს ხალხის ვედრება - შეელიოს სკამს და გადადგეს. „ხალხი" ხომ მხოლოდ ჯ. ჩარკვიანი, რ. ამაშუკელი და მათი მსგავსნი არაა. „ხალხი" - გაცილებით ფართე მცნებაა.

განვლილმა წლებმა ამკარად გვიჩვენა, რომ შევარდნაძეს არ შეხწევს უნარი სახელმწიფოს დემოკრატიული მეთოდებით მართვისა. ხოლო რეპრესიებზე და შიშზე ე.წ. „სტაბილიზაციის" დამყარება დროებითია. არასაიმედო და არასაკმარისი სახელმწიფოს მართვისათვის. მისი გადგომისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი არგუმენტია ისიც. რომ მისი თანამედროვე პოლიტიკოსები ყველა წავიდა: მიტერანი, კოლი, გენშერი, ბუში, ტეტჩერი, რომლებმაც აყვავეს თავისი სახელმწიფოები; კლინტონი - მიდის; ელცინი და მილოშევიჩიც კი წავიდნენ. გზა ახალგაზრდებს დაუთმეს; მხოლოდ ედუარდ დამანგრეველს არ ხურს წასვლა: „ტრუბაც" გაიყვანა, აბრეშუმის გზაც - ქვეყანას კი მაინც არ ეშველა. საქართველო არშემდგარ სახელმწიფოდ დარჩა. მაშასადამე, საჭიროა ახალი ძალების მოხვლა. ახალგაზრდული ენერგია და ახლებური აზროვნება: ახალი ღვინო ახალ ტიკში უნდა ჩაისხახო - უთქვამთ ძველებს. ის მაინც არ მიდის. საქართველო მრუდე სარკეების ქვეყანას დაამსგავსა. სადაც ყველთაც „თვალის დახუჭვით". წაყრუებით და ა.შ. მითუმეტეს - დიდი ძალისხმევა არ სჭირდება იმ სახელმწიფოს დაშლას. რომელიც ძალმომრეობასა და უკანონობაზეა დაფუძნებული. იქ საკმარისია სახელმწიფო მართვის ორგანოებს კონტროლი შეუსუსტდეს და სახელმწიფო თავისით დაინგრევა. ახე დაიშალა ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მისი იმპერია; ახე მოხდა სხრკ-ის შემთხვევაში. გორბაჩოვი-შევარდნაძის მთავარი და ერთადერთი „დამსახურება" ისაა, რომ გაითამაშეს გარდაცვლილი მაკედონელის როლი: დემოკრატიისა და პლურალიზმის ლოზუნგებს ამოფარებულებმა კონტროლი შეასუსტეს. მოვლენებს წაუყრუეს. ნაცვლად იმისა, რომ ისინი მართვის მისაღებ ჩარჩოებში მოექცინათ და საშუალება მიეცათ ადამიანებისთვის, ცივილურად დასცილებოდენ ურთიერთს, თუნდაც ისე, როგორც ეს ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მოხდა. და მივიღეთ ის, რაც გვაქვს!

მოვლენების თვითდინებაზე მიშვებამ ტრაგიკული შედეგები გამოიღო: ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა, სიღატაკე, ეთნოკონფლიქტები, უმუშევრობა და ფეოდალურ-კლანური წყობის დამყარება. ახლა ვიკითხოთ: როგორი საქმე გაუკეთებიათ გორბაჩოვ-შევარდნაძის ჯგუფს - კარგი თუ ცუდი? გმირები არიან ისინი თუ დამნაშავეები?

თუ ობიექტურად განვსჯით ბოლო წლებში საქართველოში მოხდარ მოვლენებს, აშკარად გამოიკვეთება ბოროტებისა და უკანონობის რამდენიმე მთავარი წყარო. მათ შორის უმთავრესი წყარო განუკითხაობისა, რომელიც თავის მხრივ სხვა მრავალ უკანონობას წარმოშობს - ეს არის პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის ერთ-ერთი მოთხოვნის იგნორირება, რომლის თანახმად მას ეკრძალება იყოს რომელიმე პარტიის წევრი. ის კი არათუ რიგითი წევრია მოქალაქეთა კავშირისა - ამ მანქანურთთა და კოსმოპოლიტ კარიერისტთა პარტიისა - არამედ მისი საპატიო თავმჯდომარეა! არც ფარავს ამას (კონსტიტუცია-კონსტიტუციად. მას ვინ რას დააკლებს. ვინაა პასუხის მომთხოვნი და ა.შ.) და [illegible] ამ პარტიის და მის წევრებს. ამის შემდეგ როგორ უნდა მოსთხოვოს სხვებს კონსტიტუციის პატივისცემა. თუ თვითონ ახე გამომწვევად არღვევს მას? ვერც სთხოვს!

მეორე წყაროა განუკითაობისა - ისევ კონსტიტუციის მოთხოვნის დარღვევაა ბიზნესისა და პარლამენტის წევრობის შეუთავსებლობის შესახებ. მართლაც. ბიზნესით დაკავებული პარლამენტარი ობიექტური ვერ იქნება კანონთა მიღების დროს. საქართველოს პარლამენტში კი თითქმის ყველა პარლამენტარი რომელიმე ბიზნესშია ჩაბმული. აქედან გვაქვს მათგან მიღებული და მათ „მხრებზე მორგებული" არასრულყოფილი კანონები. რომლებიც ან არ სრულდება ან არ მუშაობენ.

მესამე წყაროა განუკითხაობისა - ხელისუფლების წევრთა მიერ მიღებული კანონების დემონსტრაციული იგნორირება და უპატივცემულობაა, ნაცვლად იმისა, რომ უბრალო ადამიანებს მისცენ პირადი მაგალითი კანონის დაცვისა და პატივისცემისა.

მეოთხე - დამნაშავეთა საყოველთაო დაუსჯელობა. ყველაფრის მომტევებლობა. რაც დიდ გასაქანს აძლევს თავზედობას. ყველაფრის მკადრებლობას, ამორალობას, მექრთამეობას და სხვა.

ნათქვამიდან ლოგიკურთა დავასკვნათ: ჭეშრიტისათვის საჭიროა არა სხვადასხვა „ანტიკორუფციული კომისიების" უაზრო შექმნა (რადგან თვითონ იქცევიან კორუფციის „შავ ხვრელად"), არამედ საჭიროა ჩამოთვლილი ბოროტების წყაროთა აღმოფხვრა. უნდა დაიწყოს პრეზიდენტმა: გადაჭრით უნდა გაემიჯნოს მოქალაქეთა კავშირს. ის ხომ ხალხს მხოლოდ ამ პარტიის პრეზიდენტად არ აურჩევია. იგი ყველას პრეზიდენტი უნდა იყოს. დღეს კი. ფაქტიურად. ის მხოლოდ მოქალაქეთა კავშირი პრეზიდენტია!

თუმცა ამ წყაროების აღმოფხვრა საეჭვოა ამ ხელისუფლებამ შეძლოს. ის შეუბღალავი რეპუტაციისა და ეროვნული ელემენტის მატარებელმა ადამიანებმა უნდა გააკეთონ. ერთად-ერთი. რაც ვერ წაგვართვეს ქართველებს. იმედია და ჩვენც ამ იმედით ვართ. იმედი ნუ მოუშალოს ქართველებს უფალმა!

*პატივისცემით ზურაბ ბაგმელი*

# რეგიონი ქვეყნის ბიუჯეტისათვის

### მცირე რამ ისტორიიდან

სახელმწიფო პოლიტიკური სისტემა განსაზღვრავს მის ეკონომიკურ ურთიერთობას. იცვლება სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა. შესაბამისად უნდა შეიცვალოს მისი ეკონომიკური კურსიც. წინაადმდეგ შემთხვევაში. კრიზისი გარდაუვალია.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში. როცა საქართველოს ეკონომიკა ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე იდგა. ილია ჭავჭავაძემ კიდევ ერთ დიდ ეროვნულ საქმეს ჩაუყარა საფუძველი - ეს გახლდათ კოოპერაციული მოძრაობა. რომელიც ითვალისწინებდა არა მხოლოდ ეკონომიკის განვითარებას. არამედ გლეხობის ადგილებზე დასაქმება-დამაგრებასაც და სოფლებიდან ქალაქებში ან სხვა ქვეყნებში მოსახლეობის მიგრაციის პროცესის შეჩერებას. ეკონომიკამ დაიწყო აღორძინება. გაჩნდა სხვადასხვა პროფილის კოოპერატიული ამხანაგობები. მაშინდელი ანანოვის შამპანიური. ფრიდონოვის ატამი და ქლიავი არათუ რუსეთში პოულობდა გასაღების ბაზარს. არამედ პარიზამდეც გაიკვლია გზა...

ეს მცირე მაგალითი. რა თქმა უნდა. არ ამოწურავს მაშინდელი კოოპერაციული მოძრაობის წარმატებებს. მოკლედ შეიძლება ითქვას. რომ ამ მოძრაობამ თავის დროზე უდიდესი როლი შეასრულა და 1870 წლიდან თითქმის საუკუნენახევრის ისტორიის მქონე დარგი დღემდე განაგრძობს არსებობას...

### შავბნელი წარსული...

1917 წლის რუსეთის ბოლშევიკური რევოლუცია საქართველოს 1921 წელს მე-11 არმიის სახით მოევლინა. მოახდინა მისი სრული ანექსია. შეიცვალა სახელმწიფო წყობა. შესაბამისად. ეკონომიკური ურთიერთობებიც. დაიწყო შავბნელი ხანა.

იმდენად ძლიერი იყო კოოპერაციული მოძრაობის მნიშვნელობა. რომ ვერც „წითელმა მამებმა" შეძლეს მისი იგნორირება. კომუნისტურმა რეჟიმმა კაპიტალისტური წყობის მზოლოდ ეს ერთადერთი ფორმა შეინარჩუნა და განავითარა. ანუ ეს გულისხმობს სოფლად დამოუკიდებლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებას. გადამუშავებას. საყოფაცხოვრებო მომსახურეობას და ა.შ.

### ღღეს...

რას წარმოადგენს დღეს კოოპერაციული მოძრაობა. რა პრობლემები დგას მის წინაშე და რა პერსპექტივები გააჩნია მას სამომავლოდ - აი. კითხვები. ყველას თუ არა. ქვეყნის ეკონომიკაზე. მის ბედზე დაფიქრებულ ადამიანს რომ გაუჩნდება. ხოლო თავად ამ დარგში გაერთიანებულ ათიათასობით კოოპერატორს. ბუნებრივია. ყველაზე მეტად აღელვებს.

### კვალიფიციური ეკონომისტები ამბობენ

საქართველოში დღეს სულ სხვა სურათი გვექნებოდა. კრედიტ-გრანტების სახით შემოსული 4 მილიარდამდე დოლარი მიზნობრივად რომ გახარჯულიყო და ამა თუ იმ პრიორიტეტული დარგის აღორძინებას მოხმარებოდა. თუ სპეციალისტებს ვერწმუნებით. არც ახლაა გვიან. თუ. რა თქმა უნდა. ხელისუფლების პოლიტიკური ნება იქნება. თუ ხელისუფლებამ მოიწადინა ეკონომიკის აღორძინება ქვეყნის შიგნითვე რესურსების მოძებნით. ამას დამატებული უცხოური ინვესტიციები და სწორი საგადასახადო პოლიტიკა.

### ცნობილი მოვლენები...

განუკითხაობამ. გამეფებულმა ქაოსმა და ანარქიამ ცეკავშირის ანუ ქართული კოოპერაციული მოძრაობის წლობით ნაგროვები ქონება ძლიერ დააზარალა. უმეტესი შენობა-ნაგებობა გაიძარცვა. დაიმსხვრა და განადგურდა ტექნიკა. რამაც გარკვეულ პერიოდში აღნიშნული დარგის სრული გაჩერება გამოიწვია.

### აუცილებელია რეფორმების გატარება...

მადლობა ღმერთს. კოოპერაციული სისტემა კვლავ ამოქმედდა. თუმცა. შიგნიდან თუ გარედან შექმნილი უამრავი პრობლემა. ერთგვარი ბარიერი. მის მუშაობას ჯერ კიდევ დიდწილად აფერხებს.

ცეკავშირის ხელმძღვანელობა ცდილობს თანამედროვე სტანდარტების დონეზე გადააწყოს სისტემის მართვის სტილი. მისი მუშაობა. აუცილებელი გახდა რეფორმების გატარება. კერძოდ. მოხდა სისტემის დეცენტრალიზაცია. ანუ ადგილებზე რაიკავშირებს მიეცათ სრული ავტონომია. რეფორმის მიხედვით. ცენტრი. ანუ ცეკავშირი და მისი გამგეობა. უნდა იყოს სისტემის ერთიანი პოლიტიკის წარმმართველი და მისი ლობისტი-აღმსრულებელი საკანონმდებლო ხელისუფლებაში. ანუ მან უნდა დაიცვას ქართული კოოპერაციის ინტერესები ყველგან - მმართველობის ყველა ორგანოში. ფაქტობრივად. შეიქმნა ახალი ცეკავშირი. ახალი კოოპერაციული სისტემა. რომელიც ძველ ტრადიციებზე დაყრდნობით და რეფორმების გატარებით. თუ ხელისუფლების ნება და სწორი საგადასახადო პოლიტიკაც იქნება. ახალ სიცოცხლეს შთაბერავს ქართულ კოოპერაციას და რაც მთავარია. მას აქცევს ისეთ სისტემად. სადაც ათასობით ადამიანი დასაქმდება.

### რეფორმა მოითხოვს შესაბამის კანონს

საყოველთაოდ ცნობილია - ყოველგვარ რეფორმას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა სჭირდება. სრულყოფილი კანონის შექმნა კი მოითხოვს დიდ პრაქტიკულ ნიჭს. გამოცდილებას და ფართო ერუდიციას. „კანონის უპირველესი მიზანია. იმუშაოს. არის კანონები. რომლებიც თითქოს იდეალურია. მაგრამ არ მუშაობს... მოხსენებულად ამბობს რუსთაველი: „არა ვიქმ. ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა"-ო. გამონაკლისი არც ცეკავშირის სისტემაა. წინაპირობა რეფორმებისა. რომელიც გატარდა ცეკავშირის ხაზით და გატარდება მომავალშიც. შექმნა კანონმა. რომელიც პრეზიდენტის ინიციატივით და პარლამენტის მხარდაჭერით 1997 წელს იქნა მიღებული. რაც ცეკავშირის ეხლანდელი ხელმძღვანელობის დამსახურებაა. კანონი იმდენად სრულყოფილია. რომ მას ანგარიშს უწევენ დ.ხ.თ.-ს ქვეყნების ანალოგიური სისტემების წარმომადგენლები შესაბამისი კანონმდებლობის შექმნისას.

### საქართველოს ცეკავშირი და გარესამყარო

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში კოოპერაცია საკმაოდ ხერიოზული. ფინანსურად ძლიერი ორგანიზაციაა. დედამიწის მასშტაბით აერთიანებს 700 მილიონამდე ადამიანს. ანუ დედამიწის მოსახლეობის 1/6-ს. ევროპაში. კერძოდ. გერმანიაში ყოველი მეხუთე კოოპერატორია. ძლიერი ორგანიზაციებია ბრაზილიაში. იაპონიაში. რუსეთში და ა.შ. რაც შეეხება ისრაელს. იქ სრულიად განსხვავებული სისტემაა სტრუქტურული აგებულებით. იმდენად რაციონალურად იყენებს თითოეულ კვადრატულ მეტრ მიწას. რომ სასაზღვრო ზოლზეც კი მოჰყავს მოსავალი.

მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული კოოპერაცია გაწევრიანდა მსოფლიო კოოპერაციულ სისტემაში. გახდა მისი ერთ-ერთი სრულუფლებიანი წევრი. თუმცა. ეს სულაც არ ნიშნავს საკუთარი. ეროვნული სახის დაკარგვას. ტყუპისცალივით დამსგავსებას ამა თუ იმ ქვეყნის ანალოგიურ სისტემასთან. ცეკავშირის დღევანდელ ხელმძღვანელობას წამითაც არ გაჩენია ხურვილი. უარყოს კოოპერაციული მოძრაობის ათწლეულობით დამკვიდრებული ტრადიცია... და დაემსგავსოს ამერიკულს. გერმანულს ან თუნდაც რუსულ კოოპერაციას მართვის სტილით. სტრუქტურული აგებულებით და ა.შ.

ქართველ კოოპერატორთა ინიციატივით და მხოფლიო ალიანსის წარმომადგენლებთან და ევროპის ალიანსის გენერალურ მდივანთან შეთანხმებით. მხოფლიო ალიანსის კონგრესზე გადაწყდა შავი ზღვის ქვეყნების კოოპერაციის საბჭოს დაფუძნება. რომლის მიზანია შეიქმნას საინფორმაციო ცენტრი. მხოფლიო კოოპერაციის ინფორმაციის ბანკი. ინტერნეტში ყველა დიდი სახელმწიფოს კოოპერაციაა შესული. მაგრამ ინფორმაციის ერთიანი ბანკი არ არსებობს. და მიზანიც ეს არის: ჩამოყალიბდეს სწორედ ასეთი ბანკი და მსოფლიო ალიანსის ხელმძღვანელობამ არა მხოლოდ საკანონმდებლო დატვირთვა მისცეს მის საქმიანობას. არამედ ხელი შეუწყოს სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას ორგანიზაციებს შორის. კერძოდ. განახორციელონ საერთაშორისო გახვლები ისეთი სახელმწიფოებისათვის. რომელთაც ნაკლებად გააჩნიათ ფულადი სახრუნავი საშუალებები. ეს გახლავთ დ.ხ.თ.-ს. აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის თითქმის ყველა სახელმწიფო. ასათვისებელია არა მხოლოდ რუსეთის. არამედ ჩინეთის. იაპონიის ბაზრებიც...

შავი ზღვის ქვეყნების კოოპერაციის საბჭოს შტაბ-ბინა საქართველოში. კერძოდ. თბილისშია. მის თავმჯდომარედ გოგი ქათამაძეა არჩეული.

### „სახელმწიფო სახელმწიფოში"

არცთუ დიდი ხნის წინ კოოპერაციას „სახელმწიფოს სახელმწიფოში" ეძახდნენ. ეს იყო კომუნისტების დროს. რა ხდება დღეს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში? გაუძლებს კი კონკურენციას ცეკავშირი? თვალი გადავავლოთ დღევანდელ ქართულ ეკონომიკას. მიუხედავად საგადასახადო პოლიტიკის მახრჩობელა მარყუჟებისა. ათასგვარი ოფიციალური თუ არაოფიციალური გადასახადებისა. ვაჭრობის სფერო მაინც ცოცხლობს და ზოგიერთი წარმოებაც ფეხზე დგას. თუმცა. ცალსახად შეიძლება ერთი რამ ითქვას - კონკურენციის პირობებში მეწარმეთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება რომ ხდებოდეს და ე.წ. „კრიმები" არ არსებობდეს. მაშინ შესაძლოა წარმოებაც განვითარდეს და ქვეყნისთვის აუცილებელი სხვა დარგებიც.

რაც შეეხება ზემოთ დასმულ კითხვებს. პასუხიც ნათელია: საბაზრო ეკონომიკამ და აქედან გამომდინარე. მომძლავრებულმა კერძო სექტორმა. კერძო ფირმებმა თუ საწრმოებმა ინიციატივა ხელში აიღეს. რამაც ჩრდილში მოაქცია ადრინდელი მსხვილი საწარმოები. ფაბრიკა-ქარხნები თუ მწარმოებლები. არც ამ შემთხვევაშია გამონაკლისი კოოპერაცია. მახაც საკმაოდ ბევრი კონკურენტი გამოუჩნდა სოფლად მცირე ზომის პურის საცხობების. საკონსერვო საწარმოების. ღვინის თუ უალკოჰოლო სასმელების ჩამოსასხმელი მინი-ქარხნებისა და მათი მაღაზიების სახით და ა.შ.

მაგალითისთვის: ადრე ქვეყანაში გამომცხვარი პურის 53% ცეკავშირის სისტემის პურის ქარხნებზე მოდიოდა. დღეს ეს გიგანტი ქარხნები თითქმის გაჩერებულია. რადგან მასზე მოთხოვნილება არ არის. ამას ემატება მინი-საცხობების სერიოზული კონკურენცია. საბაზრო ეკონომიკის კანონები თავისას აკეთებს. თუმცა. თუ თანაბარ პირობებში ჩავაყენებთ ამ ქარხნებსა და მინი-საცხობებს. შეწყდება ფქვილის კონტრაბანდა. მოწესრიგდება აღრიცხვიანობა. მაშინ შესაძლოა მინი-საცხობებმა დიდი ქარხნების კონკურენციას ვერ გაუძლონ. იხეკაცმა რომ თქვას. იმ საგადასახადო პოლიტიკის პირობებში. როგორიც დღეს ქვეყანაშია. ვერც დიდი ქარხნები იხეირებენ და ვერც პატარები. აქედან გამომდინარეობს. ალბათ. ჩვენში აქამდე აღურიცხავი კონტრაბანდა. როგორც ფქვილის. ახევე სხვადასხვა საქონლის და შესაბამისად. მეწარმეთა მცდელობა - დამალონ შემოსავალი და გადასახადიც არ გადაიხადონ.

მეორე მნიშვნელოვანი დარგი ცეკავშირის სისტემაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და გადამუშავებაა. აქაც იხეთივე პრობლემებს აწყდება ცეკავშირის ხელმძღვანელობა. როგორსაც პურის წარმოებაში. თუმცა. ისევე როგორც პურის ქარხნები. ეხეც ერთ-ერთი დიდი რეზერვია ქვეყნის ბიუჯეტისათვის. მათთვის პროტექციონისტული გარემოს შექმნისა და ამუშავების შემთხვევაში.

### ცეკავშირი და მთავრობა

ცეკავშირის სისტემაში არსებულ პრობლემებს ალბათ საფუძვლიანად იცნობს ქვეყნის პრეზიდენტი. მთავრობა. პარლამენტიც. მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე. სადაც ფილეობდა ბიუჯეტის შევსების საკითხი. ცეკავშირის თავმჯდომარემ - გოგი ქათამაძემ განაცხადა: ბიუჯეტისთვის რეზერვებს რომ ვეძებთ. დაგვეხმარეთ. ხელისუფლებამ პროტექციონისტული გარემო ან გარკვეული შეღავათები მოგვცეს და ნაცვლად დღევანდელი 3-4 მილიონის. ბიუჯეტს 50-60 მლნ ლარს შევმატებთ და 100 000 კაცსაც დავასაქმებთო. ქვეყნის პრეზიდენტს ეს იდეა მოეწონა და მოითხოვა პროგრამა. რომელიც 20 დღეში წარედგინა. პროგრამაზე გაკეთდა პრეზიდენტის რეზოლუცია: განიხილეთ და სასწრაფოდ მთავრობის მორიგ სხდომაზე წარმოადგინეთ. პასუხისმგებლობა მის განხორციელებაზე ხუთ სამინისტროს. მათ მორის - ფინანსთა. ეკონომიკის. შემოსავლების სამინისტროებს დაევალა. ეს ხდებოდა ივლისში. მაგრამ დღემდე მთავრობის სხდომაზე ეს პროგრამა არ განხილულა. მით უფრო საეჭვოა ის გარემოება. რომ მსოფლიო სავალუტო ფონდი ამგვარი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების სასტიკი წინააღმდეგია რომელიმე დარგის მიმართ. არადა. ყურძნის დამზადების დრო რომ დადგა. ცეკავშირს კვლავ ინვესტორის მოძებნა დასჭირდა და ყვარელსა და სიღნაღში გლეხობისაგან 1300 ტ ყურძნის მიღებაღა მოხერხა.

### „არც ერთი იყო ეგვიპტელი და არც მეორე ვენეციელი..."

ცეკავშირის ხელმძღვანელთა ოპონენტებს. ანუ იმ ადამიანებს. რომლებიც უკმაყოფილონი არიან გამგეობის მართვის სტილით თუ სხვა რამ მოსაზრებებით. ყური რომ მიუგდო. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება. რომ მათი ხმამაღალი განცხადებები სამართლიანია. მაგრამ ამავე დროს...

საქმე ეხება იგივე პურის ქარხნებს. საკონსერვო მრეწველობას და საერთოდ. სისტემის ამუშავებას. მაგრამ ამ შემთხვევაში არც ქათამაძეა დამნაშავე. არც მისი ოპონენტები. და ორივენი კი იმ ბედკრული ქვეყნის შვილები არიან. რომელსაც საქართველო ჰქვია...

### „იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა... იყიდეთ, იყიდეთ, თორემ..."

დღეს ცეკავშირის ხელმძღვანელს და გამგეობის წევრებს ოპონენტები ბრალდებად უყენებენ ცეკავშირის კუთვნილი ქონების იაფად გაყიდვას. გამგეობის წევრები აცხადებენ. რომ ცეკავშირის კუთვნილი ქონების ერთპიროვნული გაყიდვის უფლება არა აქვს და არც არასოდეს ჰქონია ცეკავშირის ხელმძღვანელს ან გამგეობის რომელიმე წევრს. აბალი კანონის მიხედვით მიღებულ წესდებაში ქონების გაყიდვის ისეთი მექანიზმია ჩადებული. რომ ადგილებზე რაიონებში მოქმედი რაიკავშირების მეპაიეთა წარმომადგენლები თუ გადაწყვეტენ ქონების გაყიდვას. ობიექტს შეფასებენ. გამოიტანენ განსახილველად. უთანხმებენ ცეკავშირის გამგეობას. რომელიც საბოლოოდ ამტკიცებს მას და მხოლოდ ამის შემდგომ ხდება გაყიდვა. თუ. რა თქმა უნდა. მყიდველიც მოინახა.

რაიონებსა და სოფლებში ცეკავშირის კუთვნილი შენობების მეტი წილი ამორტიზებულია. მათი დღევანდელი ფასი. ანუ საბაზრო ღირებულება გაცილებით ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე. ამ შენობების ქონების. მიწის გადასახადი კი ცეკავშირის ბიუჯეტს აწევს კისერზე. ამიტომაც. ცეკავშირის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება - გაყიდოს არარენტაბელური. ამორტიზებული ობიექტები და შენობები - ნამდვილად მისაღებია. და თუ ამ საკითხს პრაგმატულად შევხედავთ. მივალთ იმ დასკვნამდე. რომ უვარგისი. გამოუყენებელი და არამემოსავლიანი ობიექტის შენარჩუნება წამგებიანია და მათი გაყიდვა - ყველაზე სწორი გამოსავალი. არადა. ბიუჯეტისთვის დავალიანების არგადახდის შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია სასამართლო წესით სულაც კაპიკებად გაიყიდოს. მაგალითად. სლოვაკეთის კოოპერაციამ სოციალისტური სისტემის ნგრევის შემდეგ დარჩენილი 700-მდე სავაჭრო ობიექტიდან 650 გაყიდა. დაიტოვა. მხოლოდ 50.

თუმცა. გაყიდვაზე ხმამაღალი საუბარი მაშინ იქნებოდა შესაძლებელი. ქონების დიდი ნაწილი რომ გაყიდულიყო. რეალურად. 1%-ც არ არის გაყიდული. ვინაიდან. ფაქტობრივად. მყიდველი არ არსებობს.

ახალი საბრუნავი საშუალებების ძიების პროცესში ქართველმა კოოპერატორებმა ერთი გზაც მონახეს - საააქციო საზოგადოების შექმნა. ექსპერიმენტის სახით მარნეულის სასურსათო კომბინატში აქციების 10% მომსახურე პერსონალს უფასოდ გადაეცა. იმ იმედით. რომ 39%-ს შეინყიდიდნენ. 51% კი - ცეკავშირს დარჩებოდა. უკვე სამი წელია საააქციო საზოგადოება ჩამოყალიბდა. მაგრამ მომსახურე პერსონალმა ამ 39% აქციების ყიდვა ვერა და ვერ შეძლო. გამოსავალი კვლავ ინვესტორის ძებნაშია. სხვა გზა არ ჩანს. ეს ოპონენტებმაც მშვენივრად უწყიან. ალბათ.

### ცეკავშირი ქონების მართვის სამინისტროს 28 მილიონ ლარამდე ანუ „ეკუთვნით, მაგრამ არ ეკუთვნოდა..."

განუკითხაობის წლებში სხვა მრავალ უბედურებებთან ერთად ხდებოდა ქონების არაკანონიერი მითვისება. ამ მხრივ ცეკავშირსაც უმძიმესი პრობლემები შეექმნა. უკანონოდ მითვისებული იქნა მისი კუთვნილი მრავალი ობიექტი. ამ ეტაპზე სასამართლო წესით 60 დაკარგული ობიექტი დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს. ანუ ცეკავშირს. საკონსტიტუციო სასამართლოს მემვეობით დაბრუნებულ იქნა აგრარული ბაზრებიც. ცეკავშირს არცთუ ისე იოლი ურთიერთობა აქვს ქონების მართვის სამინისტროსთან. რომელსაც 28 მილიონ ლარს ედავება კუთვნილი ქონების გაყიდვის გამო. საქმე საოლქო სასამართლოშია. იმედია. სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება.

### იმედი ყველაზე გვიან კვდება

ცეკავშირის ხელმძღვანელობა. გრძნობს. რომ მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტას ახლებური აზროვნება. ახლებური მიდგომა სჭირდება. და ცდილობს კიდევ დროის მოთხოვნების მიხედვით. წარმართოს დარგი. თუმცა. ხაზგასმით შეგვიძლია ვთქვათ. რომ მათი ყოველნაირი მცდელობა ფუჭი იქნება. თუ ხელისუფლების მტკიცე და კეთილი ნება არ იქნა გამოხატული ამ დარგის აღორძინების მიზნით.

რაც შეეხება ოპონენტებს. ჯანმრთელი აზრი. ჭეშმარიტება კამათში იბადება და თუ ცეკავშირის ხელმძღვანელობაც და მათი ოპონენტებიც ერთობლივად იფიქრებენ სისტემის აღორძინებაზე. მის მომავალზე. ამ ეტაპზე ეს უფრო მნიშვნელოვანია. ცალკეულ პიროვნებებს და მათ ამბიციებს. ვინც არ უნდა იყოს ის. არ უნდა ეწირებოდეს უდიდესი საქვეყნო საქმე. ანუ ცეკავშირი. ათასობით ადამიანის წლების განმავლობაში ნამრომ-ნაღვაწი. მათი ქონება და. ბოლოსდაბოლოს. იმედია...

იმედი კი. ვიცით. ყველაზე გვიან კვდება.

*იზოლდა ცირდავა*

# რა გაკაცწოროებს ამ მაცინჯ კუზს, ასე უშნოდ რომ აზის ქართულ დემოკრატიას?...

-დემოკრატია რა ბედენაა, მაგრამ იმაზე უკეთესი ჯერ არ მოუგონია კაცობრიობასო. უთქვამს ერთ ოკეანისგაღმელ თუ გამოღმელ პოლიტიკოსს. დემოკრატიისა ჩვენ. აბა, რა ვიცოდით, საბჭოურ იმპერიაში ათწლეულობით ნაცხოვრებ-ნაჯახირებმა ხალხმა, თუმცა, ისე, გაგონილი კი გვქონდა, რომ რაღაც ნამეტანი კარგია ეს დასავლური დემოკრატია და იგი ჩვენს ცნობიერებაში თავისუფლებასთან (არა გიჟის!) ასოცირდებოდა, თუმცა რატომღაც ზედ კარგი „ფირმა“ მანქანები, ფეშენებლური კოტეჯ-ვილები, კაი ჩასაცმელ-დასახური და ასეთი რამეებიც ემატებოდა ჩვენს წარმოსახვას.

მერე და მერე, ანუ ამ ბოლო ათწლეულში, ასე თუ ისე, გავუსინჯეთ გემო დემოკრატიას, თუმცა ხშირად მოგვკვეთა კბილი და ტკივილებისაგან მწარედაც აგვაკვნესა. ბოლო ხანს ისიც გავიგეთ, რომ დემოკრატია, რამდენი ქვეყანაცაა, იმდენი ყოფილა დედამიწის ზურგზე, ანუ არის ამერიკული, ფრანგული, იტალიური, ინგლისური, გერმანული, შვედური, დანიური, თურქული, ესპანური... და თქვენ წარმოიდგინეთ, ქართული დემოკრატიაც.

ყველა მათგანს თავისი ღირსებებიც აქვთ და ნაკლიც, აბა, ისე როგორ იქნება, მაგრამ სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო, ჩვენ მათი ამბავი იმდენად არ გვაწუხებს. ჩვენ ჩვენი, აქაური ქართული დემოკრატიის ჭირ-ვარამზე ვთქვათ რამე, ქართული სახელმწიფოებრიობისა ბედზე თუ უბედობაზე ჩავაგდოთ ორიოდ სიტყვა და თუ რომ ჭკვიანური გამოგვივიდა ნათქვამი, ამას მკითხველი ადვილად მიხვდება და წაიკითხავს კიდევ ამ ჩვენს ნაცოდვილარს, თუ არა და...

მაშ, ასე! დავიწყოთ ბოლოდან, ანუ წინა კვირის ამბებიდან, კერძოდ, ვინმე ჭკუასელის მიერ აწ უკვე საქვეყნოდ გახმაურებული ინტერვიუ გავიხსენოთ. „ლიტერატურულ საქართველოში“ რომ გამოქვეყნდა ამ ორი კვირის წინ და ერთი ამბავი რომ შექმნეს მოქკავშირის „უმრავლესობის უმცირესობის“ (წივწივაძემ თავის გაზეთში უკვე იხმარა ეს ტერმინი) ბობოლებმა და ჯერ წივწივაძე ხომ „სცემეს და სცემეს“ (თუმცა მერე არ დადასტურდა მათი ნათქვამი), ახლა იმ ჭკუასელს, ინტერვიუერს მოუღერეს მუშტები. საოცარი რა იყო აქ, იცით? საჯაროდ, ტელევიზიით იმუქრებოდნენ, ემუქრებოდნენ ჯერ წივწივაძეს, მერე ჭკუასელს, მერე კიდევ მავანთ და მავანთ (უმისამართოდ), მუშტი-კრივი ჯერ არ დაგვიწყებიაო, ბარამიძემ კი, ყველა ძალოვანთა საპარლამენტო უფროსმა, მთლად მოუთავა ხელი: დაპატიმრების ბრძანება არ გაუცია, თვარა არც არაფერი დააკლდა - უშიშროების მინისტრს დაავალა საქმის სასწრაფოდ გამოძიება!!! და ყველაფერი ეს ხდება დემოკრატიის საფარველქვეშ...

აი, ესეც ქართული დემოკრატია!

მაგალითებს რა გამოლევს: უფრო წინანდელი ამბები გავიხსენოთ. ანუ 100 თუ 150 ყივჩაღი, ბოდიში, ჩეჩენი რომ შემოგვეჭრა საზღვარს აქეთ და მერე რომ სულ კუდით ქვა ვასროლინეთ საზღვარს იქით. გეხსომებათ, ალბათ, თარგამაძე-ჩხეიძე - ქუთათელაძე-თევზაძის მაშინდელი საჯარო საუბრები ამ თემაზე გინდ პრესით, გინდ ტელევიზიით, გინდაც საპარლამენტო კომიტეტში. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე კი „საწყალი“ თევზაძის, თავდაცვის მინისტრის, გამოსვლა მახსენდება საპარლამენტო კომიტეტში, სადაც ასევე „საწყალი“ სახით იხვეწებოდა, ან გაგვაუქმეთ, ან ფული მოგვეცით, ან დაგვაკონსერვეთოო... ესეც ქართული დემოკრატიის ერთი კურიოზი...

ახლა ისიც გავიხსენოთ, თუ როგორ მიხდგნენ მავანნი და მავანნი, „დასავლურ-ქართული“ დემოკრატიის აპოლოგეტები, ჩვენს სათაყვანებელ მწერლებს - ილიას, აკაკის, გალაქტიონს, ვაჟას, თვით რუსთველსაც კი, - და ლამის „მწერლობიდან გადააყენეს“, ეროვნების წართმევაც მოგვინდომეს (ჯერ პასპორტებიდან!). ჩვენი რჯულის, ტრადიციების შემჭმელ-დამანგრეველ სექტანტებს (იეღოველებსა და მათ მსგავსებს) ფართო გზა გაუხსნეს და დასავლური დემოკრატიის ღირებულებებზე საუბრებით მათი დაცვა და ხელშეწყობაც ითავეს, მომავალი თაობის გამრყვნელი ამერიკული პოპ-კულტურის შემოდინებასაც შეუწყვეს ხელი და ნაცვლად ახალგაზრდობის ეროვნულ ნიადაგზე აღზრდისა, მათ ამგვარი მდაბალი ხარისხის შოუ-კონცერტებითა თუ სხვა რამე-რუმეებით აბრუებენ. დაკარგული აფხაზეთი, სამაჩაბლო, გავერანებული კუთხეები, მოშლილი ეკონომიკა, გაჩერებული წარმოება, დაღუპვამდე მისული სოფლის მეურნეობა და ამავ დროს 4 მილიარდამდე დოლარის შეჭმული და ჯიბეში ჩადებული უცხოური დახმარება-გრანტები, უსამართლოდ გამდიდრებული მოხელეები და უსაშველოდ ღარიბი მოსახლეობა, მოძალადე პოლიცია-უშიშროება და დაჩაგრული, უფლებააყრილი მოსახლეობა, რეფორმირებული სასამართლოები, უხელფასო მოსამართლეები და ვერმიღწეული სამართალი, ბრძოლა კორუფციასთან და მისი სახით ქარის წისქვილებთან (ჯერ-ჯეროობით მაინც, მომავალში ვნახოთ), მიზერული და თვეობით დაურიგებელი პენსია-ხელფასები, ათასობით დოლარიან მანქანებში გაბღინძული ჩინოვნიკები და ასე მომრავლებული მათხოვრები და მაწანწალა ბავშვები და ა.შ.

აი, დღევანდელი ჩვენებური დემოკრატიის ნამდვილი სახე!

კი, გვაქვს პრესის თავისუფლება, აზრის, სიტყვის თავისუფლება და ეს მართლაც დიდი მონაპოვარია დემოკრატიისა, მაგრამ ჩვენთან, საქართველოში, მასმედიაც ხშირად და უმეტეს შემთხვევაში მიკერძოებულია და საზოგადო ჭირზე ცოტა ვინმეღა თუ იღებს ხმას, თუმც ეს ხმაც რჩება ხმად მღადადებლისა უდაბნოსა შინა, რამეთუ ხელისუფლება მხოლოდ ერთ კარშია თამაშს ჩვეული და ისიც თავის მინდორზე. წერე რამდენიც გინდა, ვინაა გამკითხავი. შეაყარე კედელს ცერცვი...

მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი ლამის არ დაგვავიწყდა? რომელ დემოკრატიაზეა საუბარი, როცა არჩევნებს პოლიცია იგებს და რაიონის გამგებელი თუ ქალაქის მერი პატაკს უგზავნის (ან პირადად მოახსენებს) ზემდგომ ხელმძღვანელს გეგმის პირნათლად შესრულების შესახებ. გეგმაში, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ რაიონზე არჩევნებისთვის დაწესებული ხმათა რაოდენობა იგულისხმება, რომელიც თურმე ზევიდან იგეგმება და მისი შესრულებისდა მიხედვით ფასდება თავად რაიონ-ქალაქისა და პოლიციის ხელმძღვანელთა მუშაობაც. თუ ჩემი არ გჯერათ, წადით, მოიარეთ რაიონები, სოფლები, გაიკითხეთ და მიხვდებით, რომ მმართველ პარტიას ეს მეთოდი არჩევნების გაყალბებისა თუ ძალით მოგებისა (ისე, ამბობენ, შარშანდელ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე მმართველი პარტია არჩევნების გაყალბების უკვე 56 მეთოდს ფლობდაო!..) ძალზედ დახვეწილი აქვს და ვაი ჩვენი ბრალი, რომ ამათ ხელში ვერასოდეს ავირჩევთ ღირსეულ, საჩვენო კანდიდატს (თუმცა, ხანდახან გამონაკლისს ესენიც, მმართველებიც უშვებენ ზოგ რაიონში და არ ძალაობენ, გინდა თუ არა მოქკავშირელი მოვიდესო, თუმცა ეს იმის შემდეგ ხდება, როცა მოქკავშირს თავისი განაღდებული აქვს, ანუ აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში თავისი ხალხი ყავს და ამის მერე უკვე მოსაჩვენებლად, აქაოდა, დემოკრატიულად ვატარებთ არჩევნებსო. ზოგ რაიონში შესაძლოა ცალკეული კანდიდატის არჩევის დროს (გინდაც ოპოზიციიდან იყოს ეს კანდიდატი) ძალას არ მიმართავს და არჩევნებსაც თავის ნებაზე უშვებს. მაგალითებიც შეიძლება მოვიხმოთ, მაგრამ არაა საჭირო, მკითხველი ისედაც მიხვდება.

ყველაფერ ამის შემდეგ, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი ჩემო მკითხველო, რა უნდა დავასკვნათ?

დასკვნა ერთია: ქართული დემოკრატია, უფრო სწორად, დღევანდელი დემოკრატია სულაც არაა დემოკრატია, ის უფრო ბუტაფორიაა და პოტიომკინის სოფლებისა არ იყოს, მოყვარეს გულს უკლავს და მტერს კი ასარებს.

პარლამენტის სპიკერი, ჟვანია რომ გამობრძანდა ევროსაბჭოს სხდომაზე და დიდი ხმით განაცხადა, მე ვამაყობ იმით, რომ ვარ ქართველი და თანაც ევროპელიო (თუმც შეხედულად ევროპელს ნაკლებად წააგავდა) და ამით ამავე დროს დემოკრატიული ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარის სიამაყეც წარმოაჩინა ერთგვარად ევროპის ქვეყნების წარმომადგენელთა წინაშე. ქვეცნობიერად მაინც თუ შეაწუხა ნეტავი სინდისის ქენჯნამ იმის გამო, რომ გაყალბებული არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსულ პარტიას და მის ხელმძღვანელს სინამდვილეში საამაყო არაფერი ჰქონდა და მით უმეტეს, ევროსაბჭოს წევრთა წინაშე. თუმცა ის ფაქტი, ევროსაბჭოში რომ გავწევრიანდით, ყველა ქართველს გაუხარდა და მათ შორის, მეც. ამ წერილის ავტორს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებით შესაძლოა გასწორდეს ის მახინჯი კუზი, ასე უშნოდ რომ აზის ქართულ დემოკრატიას. ანუ ჩვენში შინაურ მდვდელს შენდობა არა აქვს და იქნებ გარეულისა მაინც იქნეს შესმენილი რამე.

და ბოლოს, მაინც ყველაფერი ჩვენზე ხალხზეა დამოკიდებული: დავისვამთ თავზე ბუზს და ხელს არ ავუქნევთ, ის იმდენს ეცდება, საკუთარი ჭუჭრეტიც გამოჩეკოს და დააფრთიანოს, რომ მომავალში ისინიც თავზე დაგვჯდნენ და თავიანთი მომავალი თაობაც ჩვენი სისხლითა და ოფლით გამოკვებონ. თუ კი ხელს ავუქნევთ ამ აბეზარ ბუზს და თავისას არ გავაკეთებინებთ, მაშინ ჩვენი ძალაც გამოჩნდება და ჩვენს სიტყვასაც ფასი დაედება. ასეა, ჩხუბი მორევაზეა, თუმცა ჩხუბი ღმერთმა გვაშოროს...

*სარგის რუხაძე*



# ქორდანიას ხელისუფლებიდან შევარდნაძის ხელისუფლებამდე

გაზეთ „საქართველოს“ ტრადიციულ მკითხველს ემახსოვრება ალბათ პუბლიკაცია ჩვენსავე გაზეთში სათაურით „ქორდანიას ხელისუფლებიდან შევარდნაძის ხელისუფლებამდე“, რომელიც ა.წ. ზაფხულის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა და სადაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ შთამბეჭდავი პარალელები იყო გავლებული პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებათა და საქართველოს დღევანდელი მმართველთა მართვის სტილის, დაშვებულ შეცდომებსა და შეგნებულ თუ შეუგნებელ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს შორის. ჩაფიქრებული გვქონდა პუბლიკაცია რამდენიმე ნომერში, გაგრძელებებით დაგვესტამბა, მაგრამ, ობიექტური მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ვერ შევძელით. ამჯერად გთავაზობთ წერილს იგივე სათაურით, უპრიანი იქნებოდა გვეთქვა, გაგრძელებას წინა პუბლიკაციისა, სადაც შევეცდებით გამოვაჩინოთ ის მანკიერი მხარეები, რაც თავის დროზე ქორდანიას მთავრობას და მის მმართველობას გააჩნდა და რა თქმა უნდა, შესაბამისად, დღევანდელ მმართველთა მმართველობის ხარვეზებიც გამოვამზეუროთ, რა თქმა უნდა, კვლავ და კვლავ პარალელების გავლების გზით.

მიზანი პუბლიკაციისა, ბუნებრივია, მხოლოდ ერთმა - დღევანდელმა მმართველებმა ძველი მმართველების, ამჯერად ქორდანიას და მისი მთავრობის შეცდომები გაითვალისწინონ და ასე ვთქვათ, მათ შეცდომებზე ისწავლონ ჭკუა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვეცდებით ჩვენი სათქმელი საჯაროდ ვთქვათ და თუ იგი მიზანშიც მოხვდება, ხომ კარგი, თუ არა და ქალალდზე მაინც დაფიქსირდება ჩვენი პოზიცია და მკითხველიც დარწმუნდება იმ სიბრძნეში, რომ უკანა კაცი წინას ხიდიაო, ანუ სხვისი შეცდომების გათვალისწინება ფრიად სასარგებლო საქმეა და მითუმეტეს, როცა საქმე სახელმწიფოს მართვას ეხება.

მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მმართველი პარტია იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია. შემადგენელი ნაწილი რუსეთის ამავე სახელწოდების პარტიისა (РСДМП) და ამდენად, მისი ხელმძღვანელი ბირთვი და წევრთა უმეტესი ნაწილიც რუსეთზე იყო ორიენტირებული და როცა ისტორიული კანონზომიერებისა და ღვთის განგებით საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ამ პარტიის აქტიურმა წევრმა და ორატორობით განთქმულმა კაკი წერეთელმა, 25 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეს, გულშეღონებულმა ასეთი სიტყვები წამოისროლა: „რას შვრებით, თქვენა ღუპავთ რუსეთის დემოკრატიას“. იმდენად ვერ წარმოედგინა მას და მის ბევრ პარტიული ამხანაგს ის ამბავი, რომ საქართველო დამოუკიდებლად შეძლებდა არსებობას, თუმცა, მეორე დღეს, დამფუძნებელი კრების სხდომაზე, იგივე კაკი წერეთელი, უკვე ასე მიმართავს აუდიტორიას: „ამ ზალაში დღეს გარდაიცვალა ერთი სახელმწიფო - ამიერკავკასია და ეხლა იბადება მეორე, - საქართველო...“.

აი, ასეთი სულისკვეთების პარტია მოვიდა ხელისუფლების სათავეში 1918 წელს. პარტია, რომელიც აზროვნებით, გონებით, სულით ეკუთვნოდა რუსულ სოც. დემოკრატიას, მაგრამ ბედის უკუღმართობის გამო პირველი დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი გახდა.

სამწუხაროდ, ასეთი რუსეთუმეები, რომელთაც ურუსეთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ და ყველანაირ ღონეს ხმარობენ, რათა საქართველო კვლავ რუსეთის ორბიტაზე დაბრუნდეს, საკმაოდ ბევრნი არიან ჩვენში და ათასნაირ აბლაბუდას, რა თქმა უნდა, პოლიტიკურს, ქსოვენ, თუმცა მხოლოდ მათი ძლისხმევა ვერაფერს გახდება, რომ არა ხელისუფალთა უნებლიე თუ შეგნებული წაბიძგება აქეთკენ ხალხის გაუთავებელი ეკონომიკური სიდუხჭირით, დრაკონული სამეწარმეო ატმოსფეროთი, საგადასახადო პოლიტიკით და ა.შ.

არცერთი ჭკუათმყოფელი არ იტყვის იმას, რომ რუსეთი გვირჩევნია ამერიკას, ან ვთქვათ, თურქეთი გვჯობს რუსეთსო და ა.შ. ყველა მეზობელ ქვეყანას მეზობლობისა და მეგობრობის, თანამშრ-

*გაგრძელება მე-7 გვ.*

მე-6 გვერდიდან.

მოლოდინის, ეკონომიკური პარტნიორის როლში უნდა განიხილავდეს ხელისუფლება და რაც მთავარია, იმ პოლიტიკას უნდა ატარებდეს, დიდმა ილიამ რომ საკუთარი თავის ყუდნება უწოდა.

ყველა ქვეყანას, მათ შორის ამერიკას, რუსეთს, თურქეთს, თუ აზერბაიჯანს, ისევე, როგორც საქართველოს თავისი ინტერესები აქვს და ამოძრავებს ამა თუ იმ რეგიონისა და ქვეყნისადმი, ასევე შესაბამის პოლიტიკასაც ატარებს და ამ შემთხვევაში გამონაკლისი არც რუსეთია. მას საკუთარი სამხედრო თუ ეკონომიკური გავლენის შენარჩუნება სურს კავკასიაში და ამისთვისაც იბრძვის ყველა ხერხით. ამას წინათ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ რუს პოლიტიკოსთან თუ პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებულ ქართველთან, ჭკუასელთან, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ქართულ პოლიტიკურ სპექტრში და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეს მერამდენედ გაცხადდა რუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ზრახვები და გეგმები საქართველოს მიმართ, თუმცა ზოგი რამ მხედველობაშიცაა მისაღები ქართულ პოლიტიკოსთათვის. რაც შეეხება იმ ხმაურს, ლანძღვას და მწარე კრიტიკას გაზეთის რედაქციისა და თავად მისი რედაქტორის, თამაზ წივწივაძის მიმართ, ამ შემთხვევაში უმართებულოდ მიგვაჩნია, რამეთუ გაზეთი ვალდებულია ყველანაირი შეხედულება მიაწოდოს მკითხველს და ამ შემთხვევაში გამონაკლისი არც „ლიტერატურული საქართველოა", თუმცა უმჯობესი იყო საკუთარი კომენტარებითურთ დაებეჭდათ ინტერვიუ ჭკუასელთან, რათა მკითხველისთვის უფრო გასაგები გამხდარიყო ის აშკარა თუ ფარული აქცენტები, რაზეცაა ინტერვიუში საუბარი და რომელიც რუსეთის ზრახვებს ხდის ფარდას.

ახლა მივუბრუნდეთ ჩვენს პარალელებს. რევაზ გაბაშვილს თავის მოგონებათა წიგნში მოყავს ასეთი მაგალითი: რუსეთ-ოსმალეთის (თურქეთის) ომის დროს ნაძარცვი ქონება სოციალისტებმა თავიანთი კოოპერატივებისა და ვაჭრების მეშვეობით ყიდეს და იმდენი ფული ჩაიდეს ჯიბეში, საქართველოს ერთ ბიუჯეტად ეყოფოდაო. ამას მივუმატოთ ე.წ. „ზემ-გორის" უთვალავი ქონება (კარავ-უნაგირ-ლურსმანიდან დაწყებული და ფართლეულ-ფქვილ-კონსერვით დამთავრებული) ისე საიდუმლოდ გაქრა, რომ მათი საწყობები ორი თვის შემდეგ უდაბნოს მოგაგონებდაო. ასევე დაცარიელდა თბილისის სამხედრო საწყობები, სადაც ნახევარმილიონიანი ჯარისთვის აუცილებელი ამუნიცია (ჩასაცმელ-დასახური და თოფ-ტყვია-წამალი თუ ტყვიამფრქვები) ინახებოდა და მის გზა-კვალსაც ვერავინ მიაგნოო.

ეს მაგალითი თუ მაგალითები როგორ არ გაგახსენებთ თბილისის ომისშემდგომ ძარცვა-ყაჩაღობის მარათონს, სოკოსავით მომრავლებული სხვადასხვა საეჭვო რეპუტაციის ბანკებს, რომელთაც ხელისუფლების წყაროებითა თუ ხელშეწყობით მილიონობით ჩვენი მოქალაქის უკანასკნელი დანაზოგები „შეიტყაპუნეს" და ისევე უცბად გაქრნენ, როგორც აღმოცენდნენ. ანდა, სად წავიდა ის მილიარდობით კრედიტები, დახმარებები თუ გრანტები, უცხოეთმა რომ მოგვცა ამ 9 თუ 10 წლის მანძილზე. ვის ჯიბეში დაილექა ეს ამდენი ფული, რომელიც, მიზნობრივად რომ გახარჯულიყო და საქმეს მოხმარებოდა, ქვეყნას ფეხზე დააყენებდა.

რ. გაბაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს თავის წიგნში მენშევიკთა, იგივე სოც. დემოკრატთა ამორალურ, უზნეო მეთოდებს ხელისუფლების შესანარჩუნებლად და პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშის გასასწორებლად. სიცრუე, უსინდისობა, სიყალბე, ოღონდ კი ჯობნა თავისი მიზნების მისაღწევადო. აი, ასეთია გაბაშვილისეული დახასიათება იმ პარტიისა და მის ხელმძღვანელთა, რომელიც მართავდა პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საიდან სადაო, წმინდა საბაო, გაუკვირდება შედარებით გულუბრყვილო ადამიანს დღევანდელი საქართველოს მმართველი პარტიისა და მენშევიკური, ანუ სოც. დემოკრატიული პარტიის მეთაურთთა მართვის მეთოდების შედარებისას, მაგრამ სიცრუეშიც, ცრუ დაპირებებშიც, უსინდისობასა და სიყალბეშიც არც დღევანდელ მმართველებს მოეპოვებათ ბადალი საქართველოში და თუ იმასაც გავიხსენებთ, როგორი დაჟინებით, რა მეთოდებით და ხერხებით ახერხებენ და ცდილობენ ხელისუფლების შენარჩუნებას, თუ როგორ „ჯობნიან" თავიანთი მიზნების მისაღწევად პოლიტიკურ ოპონენტებს, ანუ როგორ „იგებენ" საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებს, ნათელი გახდება, რომ ესენი, დემოკრატებად გადაღებილი ნაკომუნისტარი ფუნქციონერები, ისევე, როგორც თავის დროზე დემოკრატებად მონათლული მენშევიკები, ქვეყანას ხეირს ნამდვილად ვერ დაუყრიან და თუ ვინმე ურწმუნო თომა საპირისპიროს დამტკიცებას შეეცდება, მხოლოდ სიტყვების რახა-რუხიღა თუ გამოუვა, რადგან ფაქტები სრულიად საპირისპიროს ღაღადებენ.

ადრე, შარმან თუ შარშანწინ, ჩვენი გაზეთის რომელიღაც ნომერში ვწერდი, ესენი (ჩვენს ხელისუფლებაზეა ლაპარაკი) ხელისუფლებას არაფრისდიდებით დათმობენ-მეთქი და არჩევნებით კი ამათი ხელისუფლებიდან ჩამოაცილებაც, ფაქტიურად, შეუძლებელია, რადგან ამათ ხელში (კვლავ ხელისუფლება იგულისხმება) არჩევნები ობიექტურად არასოდეს ჩატარდება და ვერც ევროსაბჭო, ვერც გაერო და ვერც სხვა ვინმე დემოკრატიული საერთაშორისო ორგანიზაციაც ვერ რაფერს გახდება, რამეთუ არჩევნების გაყალბების ამათეული რომელი ერთი მეთოდი თუ ხერხი გამოიცნოს-მეთქი.

აქ კვლავ მახსენდება ერთი ეპიზოდი რ. გაბაშვილის წიგნიდან, როცა რ. გაბაშვილი ეუბნება მენშევიკ-ფუნქციონერს, არსენიძეს, საქართველო ვერ აიტანს ამდენ თქვენს არა-სახელმწიფოებრივ სისულელეებს და ალბათ ძალაუფლება და მთავრობა უფრო ხვა ხალხის ხელში გადავა-თქო. მომავალი „იუსტიციის მინისტრი", არსენიძე, ასეთ პასუხს აძლევს:

– თუ როდისმე თქვენი მთავრობა შეიქმნა, სათითაოდ აგაფეთქებთ და დაგხოცავთო..

ეს პატარა ეპიზოდი აღნიშნული წიგნიდან შემთხვევით არ მომიხმია. ფაქტიურად, დღეს ჩვენშიც ხელისუფლების შეცვლა ვეჭვობ, უსისხლოდ მოხდეს და ამ ეჭვს ამძაფრებს ის პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება მიმართავს მის ოპონენტთა წინააღმდეგ. რასაც ემატება მოსახლეობის დღითიდღე მზარდი პროტესტი არსებული ეკონომიკური თუ შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გამო, რაც ადამიანთა უფლებების უხეშ დარღვევებში, სოციალური დისბალანსის, უძირო კორუფციისა და ქვეყნის ნათესაურ-კლანური მფიეფით მართვაში გამოიხატება.

შესაძლოა ვცდებოდე და ღმერთმა ქნას ასე იყოს, მაგრამ ცუდ ამბებს ვხედავთ და კვლავაც უნდა ცუდს ველოდეთო, სწორედ ისეა საქმე.

*ხერგო ჯანაშია*

**P. S.** მომავალში, თუ შევძელით ფეხზე დადგომა და გაზეთი სტაბილურად გამოვიდა, „სავალალო პარალელების" რუბრიკით კვლავ შემოგთავაზებთ წერილების ციკლს. ვინძლო, უინტერესოდ არ წაიკითხავთ და კიდევ ერთხელ მწარედ დაფიქრდებით ქვეყნის ბედსა თუ უბედობაზე.

# რამდენ სულელს ხედავთ საქართველოში?

მე-3 გვერდიდან.

ტოტალური კოლონიური ბატონობისკენ. ამ ბედის აცილება საქართველოს მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევით შეუძლია, ანუ იმით, რომ რუსეთი არ მოუშვას (იურიდიულად, პოლიტიკურად ეკონომიკურად...) იმ სიახლოვემდე, რომ მან საქართველოზე გავლენა მოიპოვოს.

მეოთხე. წინააღმდეგ ლეიბრისტული პარტიის ლიდერის შ. ნათელაშვილის ამასწინანდელი გამოსვლისა „კავკასიის" ტელევიზიაში ნეიტრალიტეტის თემაზე, უნდა ითქვას შემდეგი: ნეიტრალიტეტი (ანუ სამხედრო ბლოკებისადმი მიუმხრობლობა) საქართველოსთვის დიახაც კარგია, მაგრამ ნეიტრალიტეტს მოპოვება უნდა და არა მხოლოდ მოსურვება. ამას კი სჭირდება:

ა) ძალა, რომ ვერც ერთმა მეზობელმა „შვიდად" ვერ გადაგვყლაპოს. (შვეიცარიას ასეთი ძალა დიახაც აქვს).

ბ) მეზობლების დაახლოებით ურთიერთთანასწორობა ძალის მხრივ (ჩვენ მეზობლებში ასეთი თანასწორობა არ არსებობს. რუსეთთან შედარებით ყველა მცირეა).

გ) ნეიტრალიტეტი როდია (ფაქტობრივად) ამა და ამ ქვეყნის შეთანხმება დანარჩენებთან ან, მით უმეტეს, ამ ერთი ქვეყნის განცხადება დანარჩენთა წინაშე ფაქტობრივად. ეს არის დანარჩენი ქვეყნების შეთანხმება ამ ქვეყნის შესახებ (და არა ამ ქვეყანასთან). სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ნეიტრალიტეტი უნდა იყოს აღიარებული სხვა ქვეყანათა მიერ. როცა ეს პირობები არ გაქვთ (ჩვენ კი ამჟამად არ გვაქვს), სახელმწიფომ, რაც უნდა უჭირდეს მას, თავისი უსაფრთხოება მხოლოდ ნეიტრალიტეტის სურვილზე არ უნდა ააგოს. მის პარალელურად მან შესაძლო ბლოკებში შესვლის პერსპექტივებიც უნდა გათვალოს. ჩვენი ქვეყნისთვის ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში მისაღებია მხოლოდ დასავლეთის დემოკრატიათა კავშირი. ნატო.

მეხუთე. ჩვენი შესვლა ნატოში, ანუ მასთან ურთიერთვალდებულებების აღება, სხვაა. ხოლო ნატოს შემოსვლა ჩვენში – ისე, რომ ჩვენ მისი წევრი არ ვართ და მას ჩვენთან ნაკისრი სათავდაცვო ვალდებულებები არა აქვს, – რა თქმა უნდა, სულ სხვაა. ეს უკანასკნელი ვარიანტი ჩვენი ქვეყნისთვის აბსოლუტურად მიუღებელია (თუ რატომ, ეს თავისთავად ცხადია).

მეექვსე. საქართველოს ორიენტაცია დასავლეთზე არ ნიშნავს დღევანდელი დასავლური ცივილიზაციის კარგისა თუ ავის პირწმინდად კოპირებას და ჩვენთვის შედგენილი პროგრამების უკრიტიკო მიყოლას. საქართველოს შეუძლია მიიღოს კარგი და უარყოს ცუდი. მაგალითად, მას შეუძლია . წინააღმდეგობა გაუწიოს მამათმავლობის პროპაგანდას „რუსთავ-2"-ის ტელეეკრანიდან. თავისი მრეწველობისა და განათლების ჩახშობის ღინისძიებებს (რისთვისაც ჯერჯერობით ხელისუფლებას ხელი არ გაუნძრევია). ცუდი ეკონომიკური რჩევების ბრმა, მაგრამ ჯიუტ კარნახს და თავისი ტერიტორიის ხელყოფას უდიდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა „რეკომენდაციების" მიერ. რატომ და რის იმედით შეუძლია მას, როგორც ვთქვით, თავისი ინტერესები დაიცვას და, საერთოდ, პოლიტიკურ პროცესებში სუბიექტად იყოს და არა მხოლოდ ობიექტად ანუ ტერიტორიად, რომელიც ან ასე იქნება განკარგული ან ისე? მას ეს არ შეუძლია (ერთხანს მაინც თვითმობილიზაციით და თავის ფიზიკურ რესურსთა გამოყენებით. (თუმცა ეს აუცილებელია). მაგრამ თვითმობილიზაციით და ამასთან ერთად თავისი იურიდიული შესაძლებლობების გამოყენებით – სახელდობრ, იმის გამოყენებით, რომ ვერც ერთი მძიმე დარტყმა ისტორიულ მასშტაბიან ინტერესებს დღეს ისე ვერ მიეყენება, რომ ამას პარლამენტის დასტური აქ არ ჰქონდეს – მას დიახაც შეუძლია. (ცხადია, შეუძლია მხოლოდ ერთგული ხელისუფლების ხელში, ანუ მაშინ, როცა პარლამენტი ქვეყნის საწინააღმდეგო აქტებს არ იღებს, როცა პრეზიდენტი-მთავარსარდალი ომს ხელოვნურად არ აგებს, როცა მინისტრები ქვეყნის უძრავ ქონებას არ იყიდიან და ა.შ.) თუ დღეს პარლამენტიც და, განსაკუთრებით, პრეზიდენტიც საქართველოს ორგულია (ოღონდ არა აშშ-ის სასარგებლოდ, როგორც ბატონ ჭკუასელს ჰგონია, არამედ ისევ და ისევ რუსეთის სასარგებლოდ), ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ესენი სწრაფად უნდა შეიცვალონ. და არა იმას, რომ საქართველომ რუსეთის იმპერიას მიაშუროს. ესენი უნდა შეიცვალონ. (მაგრამ რა თქმა უნდა, არა იმ მიმართულების ადამიანებით, რომელსაც ბატონი ჭკუასელი გვთავაზობს).

მეშვიდე. ეს თემა, ბუნებრივია, თავს იყრის ისევ და ისევ ნატოსთან საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის მიზანშეწონილება-მიზანშეუწონილობის პრობლემაში. ამ კითხვის პასუხი მარტივია:

თუ ამ თანამშრომლობაში ის იგულისხმება, რომ საქართველო, კეტავს რუსეთის შესაძლო აგრესიის გზას ამიერკავკასიისკენ (და მის სამხრეთით მდებარე სივრცისკენ), სადაც ინტენსიური დასავლურ-აღმოსავლური კომუნიკაციის „ბუმი" და ახალი მძლავრი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა ჩანს, ეს საქართველოსთვის დადებითი როლია. უფრო მეტიც: ეს სწორედ ის როლია, რომელიც საქართველოს ტრადიციულად ჰქონდა, როგორც იმ დროს ცივილიზებული მსოფლიოს ჩრდილოელ დამცველს თუ, პირიქით, ეს თანამშრომლობა გულისხმობს მონაწილეობას სტრატეგიულ მიწოლაში სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. ეს საქართველოს ამოცანა არ არის. მეტსაც მოგახსენებთ: ასეთი ზეწოლა ისტორიას არ ახსოვს, თუ არ ჩავთვლით ვახტანგ გორგასლის ეპიზოდურ ლაშქრობას დარიალიდან ჩრდილოეთით თავისი დატყვევებული დის დასახსნელად. ჩრდილო კავკასიის საკუთრივ კავკასიური ზონა, ანუ კავკასიელი ხალხებით დასახლებული ზონა, რა თქმა უნდა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესის საგანია. მაგრამ იმის იქით ჩვენი არანაირი ინტერესი არ მიდის

ვისაც ეს არ ესმის, იმას არა მხოლოდ ისტორიული პროცესებისა და პოლიტიკის ანბანი არ ესმის, არამედ, შეიძლება ითქვას, არც საერთოდ წუთისოფლის ანბანი. ამიტომ, ჩემის აზრით, ჯობია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პრესის ჩათვლით ჩვენს მარტივ მკითხველსა და მაყურებელს ამ მარტივ ჭეშმარიტებებს აწვდიდნენ ნაცვლად იმისა, რომ იმაზე მსჯელობით შეიყოლიონ, რომელმა ნაძირალამ რომელს უკბინა პარლამენტში და რომელი ქურდ-ბაცაცა რომლის ადგილს უმიზნებს მთავრობაში.

ბატონი ჭკუასელი ძალიან მკაცრად გვემუქრება, რუსეთს თუ ვერ ვაამეთ – მაგალითად, ბაზები თუ გავაყვანინეთ – დედას გვიტირებსო. ვერ გვიტირებს: მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიმეორებთ, ჩვენი ხელისუფლება ჩვენ მხარეზე იქნება და არა მოწინააღმდეგის მხარეზე. რადგან რუსეთი ძალიან, ძალიან ვერ გააკეთებს, როგორც იტყვიან, ვერც ერთ „მკვეთრ მოძრაობას", რომელიც დასავლეთისთვის სასურველი არ იქნება. (თუ ჭკუასელს ჰგონია, რომ ან ჩინეთი, ან ინდოეთი, რომელთაც, რასაკვირველია, არაერთი არგუმენტი აქვთ მსოფლიოს ერთპოლუსიანი მართვის საწინააღმდეგოდ, ამის გამო რუსეთის იმპერიული ზრახვების გაცოცხლებას მიემხრობიან, იგი ცდება). ჩვენი პრობლემა დღეს ერთგული და უნარიანი ხელისუფლების შექმნა და მოყვანაა. ამისთვის ვარგისი კადრი საქართველოს ჰყავს. თუმცა მისი ძირითადი ნაწილი საზოგადოებისათვის დღეს ცნობილი არ არის. რაც შეეხება ამ ცვლის ორგანიზაციულ ფორმებს, ეს ჩვენზე – ჩვენს უნარსა, მონდომებასა და პასუხისმგებლობის გრძნობაზეა – დამოკიდებული. არის იმის ნიშნები, რომ ამ მხრივაც ოპტიმიზმის საფუძველი არსებობს

*ნოდარ ნათაძე*

# სტრიქონები

## გაძლებაზე სიცოცხლე

გაძლებაზეა, სიცოცხლე
ყოველ დღიურად მოკლდება,
ვინც გაძლებს, გაძლებს,
ვინც ვერა, მშიერ-მწყურვალი მოკვდება.
არ გვიცხოვრია, ცხოვრება
თვალს და ხელს შუა გაგვიცდა,
გავცივდით, გულიც და ნერვებიც
ქალამნებივით გაგვიცვდა.
ახალგაზრდები გაყლიტეს,
დარჩა ბერწი და ჭაღარა,
ღმერთო, კუთვნილი მიუზღე,
ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვყარა.

## ირინიული ლირიკა

წკიპურტ-პანღურ-მუჯლუგუნები
(ვისაც ეკუთვნის)
რა ხდება საქართველოში?!
გული ნადველით ივსება.
თქვენს გამო, ნულზე დავიდა
ქართველი ქალის ღირსება.
გაცვედანებულ ჩვენებურს
ბევრს, ცოლი გაღმა გაექცა
და საქმეს თუ არ მივხედეთ,
კახპის მაზანდა დაეცა.
ცხრაუცხოს თვალში, ქართველ ქალს,
აწი ექნება რა ფასი?
მხოლოდ თურქეთში მეძავობს
ორმოცდაათი ათასი!
ვაი სირცხვილო! - ჩვენს ჯილაგს,
რამ დაუმდაბლა შეგნება?!
თურმე, ქართველი მეძავი,
თურქს 5 დოლარად ნებდება.
სასწრაფოდ გავხსნათ ბორდელი,
კარები ფართოდ გავაღოთ
და ქართველ ბოზებს ბორდელში
მაღალი ფასი დავადოთ.
იქ სამსახური ვურჩიოთ
ჩვენს დიაცს, ყოველ მეასეს
და შემოსავლით, მთავრობა
ქვეყნის ბიუჯეტს შეავსებს.

## იმედი

ფინალს ელოდა მთლად საქართველო
და ფინალამდე მგონი მივედით,
ყველას ერგება დვთით „გასამრჯელო“
უნდა ვიცხოვროთ ამის იმედით.
ფეხმძიმედ არის ჩვენი მამული,
დღეს-ხვალ მზეჭაბუკ დევგმირს გააჩენს,
უკან დარჩება ეს სინანული,
გამოუტანენ ყველას განაჩენს.
დათვლილი არის იმათი დღენი,
ვინაც მოირგო ტანზე დროება,
კვლავ სალოცავი იქნება ჩვენი
„ენა, მამული, სარწმუნოება“.

## მტრობა, მტრობაა მოთა მატონო!

შენ მტრად ექეცი ფიჭვის ტევრს, მოთა,
და ბანდიტებზე ჰყიდი ნაფიჭვრებს.
დღეს მოდამია ბატონო მტრობა?!
მაგრამ ეყოფათ მიწა ნაბიჭვრებს?!
ეყოფათ ქურდებს წყნეთის ტყეები?
თუ, გეგმაშია უკვე ბაგები,
შენს გაზრდილ ტყეს რომ ცულით შეე-
ბი,
ეს შენთვის, მოთა, არის წამგები.
როგორ იფიქრე გაჩეხვა ტევრის
და ამენება ტევრში სახლების?!
მოხუცი კაცი და მომსწრე ბევრის,
ხელშემწყობი ხარ მამაძაღლების.
ჟურნალისტებს რომ დახვდი „ტეტეთი“,
დედა აგინე ტევრის ქომაგებს,
მასპინძლობა და თანაც ეგეთი?!
დააფრენინე ხალხი ქოფაკებს.
ორმოცი წელი ეფერე ფიჭვებს,
მერე უმტრე და მოხერხე ძირში,
ასევე უმტრეს სოხუმში ბიჭებს,
ასე გაწირეს ქართული ჯიში.
მტრობა, მტრობაა მოთა ბატონო
და როგორ გვიმტრობ, ეგ სულერთია!
მეტყევე ტყეს მტრობ, ბატონო
ტრონობ,
დაგავიწყდა, რომ მაღლა ღმერთია?!
მეფარიძე ხარ, ბატონო მოთა,

ტყეს უნდა მგერდით დაუდგე ფარად,
რადგან ამდენი დაიდე ცოდვა,
ტყეჩეხაშვილი გეკუთვნის გვარად.

*ნიკოლოზ იოხებიძე*

ინტერვიუ

# ხართ თუ არა იმპულსური?

შეგიძლიათ რთულ ვითარებაში იმოქმედოთ გონებით და არ აჰყვეთ გრძნობებს? ამის დასადგენად პასუხების სამი ვარიანტებიდან - ა, ბ, გ - შეარჩიეთ ერთ-ერთი.

*1. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ხხვებთან შედარებით, მორიდებული ხართ?*

ა. არა;
ბ. ალბათ, ისეთივე ვარ როგორიც ყველა;
გ. სიმართლე გითხრათ - დიახ.

*2. შეგიძლიათ თქვათ, რომ კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით?*

ა. ნაწილობრივ;
ბ. პირიქით;
გ. მთლიანობაში - დიახ.

*3. თქვენი მოქმედება ხშირად ხაბიათზეა დამოკიდებული?*

ა. არა;
ბ. იმვიათად;
გ. დიახ, ხდება ხოლმე.

*4. ხულერთია თუ არა, რას ფიქრობენ თქვენზე გარშემომყოფნი?*

ა. არა, მე ეს მაწუხებს;
ბ. იფიქრონ, რაც უნდათ;
გ. გააჩნია, ვინ.

*5. როგორ იღებთ ხუმრობასა და შენიშვნას?*

ა. არ ვბრაზობ;
ბ. ვერ ვიტან;
გ. როდის როგორ.

*6. ახლობლები ხომ არ გაბეზრებენ თავს შენიშვნებით?*

ა. საბედნიეროდ, არა;
ბ. ზოგჯერ კი;
გ. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს.

*7. ხომ არ ეტანებით სპირტიან სასმელებს?*

ა. არც უამისობაა;
ბ. ალკოჰოლის გარეშეც კარგად გავდივარ;
გ. იშვიათად.

*8. შეგიძლიათ სწრაფი რეაგირება?*

ა. ყოველთვის არა;
ბ. ჩემთვის ეს ძალიან ძნელია;
გ. ვფიქრობ, დიახ.

*9. თვლით თუ არა, რომ ყველა და ყველაფერი თქვენს საწინააღმდეგოდ არის - ადამიანებიც და გარემოებაც?*

ა. არა;
ბ. ზოგჯერ;
გ. რომ დავუფიქრდე, ეს მართლაც ასეა.

*10. სახლიდან წასვლა თუ გიფიქრია ოდესმე?*

ა. ჩემი სახლი - ჩემი ციხესიმაგრეა;
ბ. რა თქმა უნდა;
გ. დიახ, მაგრამ ვახშმისთვის უკვე შინ ვბრუნდები.

### პასუხები:

*თუ 0-დან 5 ქულამდე დააგროვეთ* - თქვენთვის უცხოა რისკი. გირჩევნიათ ყველაფრის აწონ-დაწონვა და დაგეგმვა. ადამიანებთან ადვილად პოულობთ საერთო ენას. კარგად ართმევთ თავს მონოტონურ და ერთფეროვან სამუშაოს. არ ხართ ზედმეტად პატივმოყვარე. მაგრამ, მეორე მხრივ, თქვენი ქცევა არაბუნებრივი და შეზღუდულია.

*თუ 6-დან 15 ქულამდე დააგროვეთ* - საკმაოდ გაწონასწორებული და კანონების მორჩილი ადამიანი ხართ. ცხოვრებაში ყველაფერს წინასწარ გეგმავთ, როგორც უმნიშვნელოს, ასევე მნიშვნელოვანსაც. მაგრამ ჩანაფიქრს ყოველთვის ვერ ახორციელებთ. მეგობართა სტაბილური წრე გყავთ, ასევე - ბევრი ნაცნობი.

*თუ 16-დან 20 ქულამდე დააგროვეთ* - ხართ აქტიური, საკუთარ თავში დარწმუნებული, შეგიძლიათ გარისკოთ და სწრაფად მიიღოთ გადაწყვეტილება. ამასთანავე, იმპულსური და თავშეუკავებელიც ხართ. ხშირად არაფრად აგდებთ ქცევის სოციალურ ნორმებს. ადვილად გწყინთ ყველაფერი, ამიტომ ადამიანებს უჭირთ თქვენთან ურთიერთობა. შეიძლება ურთიერთ ზეგავლენით იმოქმედოთ და არ იფიქროთ საკუთარი მოქმედების შედეგებზე. არ განეკუთვნებით იმათ რიცხვს, ვინც საკუთარ შეცდომებზე სწავლობს.

მკითხველთა საყურადღებოდ!

ტექნიკური მიზეზების გამო გაზეთის ეს ნომერი 8-გვერდიანია, რისთვისაც გიხდით ბოდიშს.

*რედაქცია*

# ამერიკელი ხალხისკენაა, ქართველები კი?..

მეათე წელია ეს ხელისუფლება ქვეყნის სათავეშია და მეათე წელია უდენობა გვტანჯავს ჩვენც, უბრალო მოკვდავებს. არ იქნა და არ დაადგა საშველი ამ საქმეს. ერთნი, სპეციალისტები, ერთს ამბობენ, მეორენი, - მეორეს, მესამენი სულ სხვას და დენი კი არა გვაქვს და არა გვაქვს.

აგერ, ახლახანს ამერიკელი კაცი სქოული, დაგვპირდა, დღედაღამ გაგანათებთ თბილისელებსო, მაგრამ ენერგეტიკის მინისტრმა, ქართველმა კაცმა, მირცხულავამ პირში ჩალა გამოვლებული დატოვა ამერიკელი: უგრაფიკოდ არ გამოვა მაგი საქმეო და იმფერი გრაფიკი დაგვიწესა, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ კაცი. მიზეზს არ იკითხავთ? ესაო, სიხშირის ბრალია, დაბალი ძაბვაა, აპარატურა ვერ უძლებსო და ა.შ.

ჩემო ბატონო მირცხულავავ და ჩემო ბატონო სქოულო, ასევე პატივცემულო ენერგეტიკის მამებო და ბაბუებო, ცადლსახად გეტყვით ერთ რამეს:

ჩვენ, ხალხს, სულ ფეხებზე გვკიდია (ბოდიში გამოთქმისთვის) თქვენი პრობლემები. გიხდით ფულს, მოგვეცით დენი. არ შეგიძლიათ და წადით სახლებში. მოვა ის, ვინც შეძლებს. ეს ზამთარიც თუ უშუქოდ გაგვატარებინეთ, ვაი თქვენი ბრალი მაშინ. ეს მუქარა არაა, ეს რეალობაა და მას თქვენ ანგარიშს გაუწევთ!

*პატივცისცემით,*
*ხალხის წარმომადგენელი*


**ყურადღება!!**

მივმართავ პროფესიონალ მშენებლებს.

ბ-ნო მშენებლებო, თუ გნებავთ შენობის კარკასის სწრაფად, საიმედოდ და ხარისხიანად ამენება, მოგვმართეთ ფირმა „გევა“-ს, გერმანია, ტელ: 98 76 33.

გიორგი (გოგი) ძებისაშვილი.



მკითხველები, ახლობლები, კოლეგები დაბადების დღეს ვუსურვებთ ციალა ბრეგვაძეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

თავაძე ალმანზორ.


## გოჩა აბულაშვილის ხსოვნას

უსაზღვროა ტკივილი, რომელიც შენმა მოულოდნელმა წასვლამ მოგვაყენა. მუხანათურმა ტყვიამ თან გაიყოლა სიცოცხლის, მშობლების, ლამაზი ოჯახის და ურთგულესი მეგობრების სიყვარული. შენს კერას დრო-ყამის ტრიალი ვერასდროს ჩააქრობს. მარად ახალგაზრდა და ვაჟკაცური სახით იცოცხლებ თაობების ხსოვნაში.

*ნოდარ მანგოშვილი*


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, მესტიაჩვილების მიდამო, ვარაზიანის ქ. №5
გაზეთის თბილისი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444
ტელ.: რედაქცია 93-20-36

გაზეთის ხელმძღვანელობის თანამშრომლობა ორშაბათიდან პარასკევამდე
გაფრთხილებებისა და ანონსების ჩათვლის ბოლო ვადა ორშაბათი